

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტი

ხელოვნური ინტელექტი და სამართლის
თანამედროვე გამოწვევები - 2026

II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული
კონფერენცია



საგამომცემლო სახლი
„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტი

ხელოვნური ინტელექტი და სამართლის
თანამედროვე გამოწვევები - 2026

II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული
კონფერენცია



თბილისი
2026

ხელოვნური ინტელექტი და სამართლის თანამედროვე გამოწვევები - 2026

II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

კონფერენციის სარედაქციო საბჭო :

ივანე (მამუკა) გიორგაძე - ასოცირებული პროფესორი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, საბჭოს წევრი;

ჯემალი გაბელია - პროფესორი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საბჭოს წევრი;

თამთა ღლონტი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, საბჭოს წევრი;

მირანდა გურგენიძე - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნიკოლოზი ფიფია - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საჯარო სამართლის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ემილია ალავერდოვი - პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საბჭოს წევრი;

ვალერი მოდებაძე - პროფესორი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საბჭოს წევრი;

ვალერი ოკულიც კაზარიანი - პროფესორი, ჰუმანიტას უნივერსიტეტი (პოლონეთი), საბჭოს წევრი;

იაგუთ ალიევა - პროფესორი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), საბჭოს წევრი;

სევინჯ ალიევა - პროფესორი, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), საბჭოს წევრი;

მილიცა მოსკოვიჩ - პროფესორი, ნიკოლა ტესლას უნივერსიტეტი (სერბეთი), საბჭოს წევრი;

გორან ილიკ - პროფესორი, წმინდა კლიმენტ ოპრიცკის უნივერსიტეტი (ჩრდილოეთ მაკედონია), საბჭოს წევრი;

კონსტანტინოს კოკინოს - ასისტენტ-პროფესორი (თესალის უნივერსიტეტი), საბჭოს წევრი;

ვახტანგ მურადაშვილი - აფილირებული ასისტენტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საბჭოს წევრი.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2026

ISBN 978-9941-528-14-9 (PDF)

<http://www.gtu.ge>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
FACULTY OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS**

**ARTIFICIAL INTELLIGENCE AND MODERN
CHALLENGES OF LAW- 2026**

II International Scientific-Practical Conference Proceedings



**Tbilisi
2026**

**ARTIFICIAL INTELLIGENCE AND MODERN
CHALLENGES OF LAW- 2026
II International Scientific-Practical Conference**

The conference editorial council:

Ivane (Mamuka) Giorgadze - Associate Professor, Dean of the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University, Member of the Council;

Jemal Gabelia - Professor, Deputy Dean of the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University, Member of the Council;

Tamta Glonti - Associate Professor, Deputy Dean of the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University, Member of the Council;

Miranda Gurgenidze - Professor, Head of the Quality Management Service of the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University, Member of the Council;

Nikoloz Pipia - Professor, Head of the Academic Department of Public Law of the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University, Member of the Council;

Emilia Alaverdovi - Professor, Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University, Member of the Council;

Valeri Modebadze - Professor, Faculty of Law and International Relations, Georgian Technical University, Member of the Council;

Walery Okulicz-Kozaryn - Professor, Humanitas University (Poland), Member of the Council;

Yagut Aliyeva - Professor, Baku State University (Azerbaijan), Member of the Council;

Sevinj Aliyeva - Professor, Baku State University, (Azerbaijan), Member of the Council;

Militsa Mosković - Professor, Nikola Tesla University (Serbia), Member of the Council;

Goran Ilic - Professor, St. Kliment Ohridski University (North Macedonia), Member of the Council;

Konstantinos Kokkinos - Assistant Professor (University of Thessaly),
Member of the Council.

Vakhtang Muradashvili – Affiliated Assistant, Faculty of Law and
International Relations, Member of the Council.

© Publishing House „Technical University“, 2026

ISBN 978-9941-528-14-9 (PDF)

<http://www.gtu.ge>

All rights reserved. No part of this publication may be reproduced (will this be a text, photo, illustration or otherwise) in any form or by any means (electronic or mechanical) without the prior written permission of publisher.

Piracy is punished according to the law.

Author(s) are responsible for the accuracy of all the facts provided in the book.

The position of author(s) might not be coinciding with the position of the Publishing House.



Verba volant,
scripta manent

შინაარსი

ანზორ აბრალავა, ნიკოლოზ ფიფია, როლანდ მესხი

ხელოვნური ინტელექტი სამართალდამცავ სისტემაში: მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გამოწვევები 9

გივი ლობჯანიძე

წიგნთან დაკავშირებული პრობლემები - ხელოვნური ინტელექტი ინტელექტუალური საკუთრების ჭრილში..... 32

Walery Okulicz-Kozaryn

AI-Assisted Research Methodology for Identifying Red Flags in Academic Recruitment Procedures 53

რობიზონ ხურცილავა, დავით ხურციძე

ხელოვნური ინტელექტი სამოქალაქო სამართალწარმოებაში - სამართლებრივი საზღვრები და პრაქტიკული გამოწვევები 70

Valeri Modebadze

Factors That Prevent the Regulation of Artificial Intelligence 120

ვახტანგ მურადაშვილი

ხელოვნური ინტელექტი, როგორც პოტენციური დამნაშავე, ამსრულებლისა და თანამონაწილეობის პრობლემატური ასპექტები..... 140

ქიარიმ გუმბათოვი

ხელოვნური ინტელექტის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში..... 159

Table of Contents

Anzor Abzalava, Nikoloz Phiphia, Roland Meskhi

Artificial Intelligence in Law Enforcement Systems: Governance
Efficiency and Institutional Challenges..... 9

Givi Lobzhanidze

Book-Related Problems - Artificial Intelligence in the Context of
Intellectual Property 32

Walery Okulicz-Kozaryn

AI-Assisted Research Methodology for Identifying Red Flags in
Academic Recruitment Procedures 53

Robizon Khurtsilava, Daviti Khurtsidze

Artificial Intelligence in Civil Procedure – Legal Boundaries and
Practical Challenges..... 70

Valeri Modebadze

Factors That Prevent the Regulation of Artificial Intelligence 120

Vakhtang Muradashvili

Artificial Intelligence as a Potential Criminal, Problematic Aspects of
perpetration and Complicity 140

Kiarim Gumbatov

The role of Artificial Intelligence in The Decision-making Process of
Local Self-Government 159

ხელოვნური ინტელექტი სამართალდამცავ სისტემაში: მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გამოწვევები

ანზორ აბრალავა - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ნიკოლოზ ფიფია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

როლანდ მესხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ანოტაცია

თანამედროვე სამართალდამცავი სისტემა ფუნქციონირებს რთულ და დინამიკურ გარემოში, სადაც მართვის პროცესების ეფექტიანობა განსაზღვრავს არა მხოლოდ ინსტიტუციური საქმიანობის შედეგიანობას, არამედ სამართლის უზენაესობისა და საზოგადოების ნდობის ხარისხსაც. არსებული მმართველობითი მოდელები ხშირად აწყდება სტრუქტურულ და პროცესულ ხარვეზებს, რაც გამოიხატება გადაწყვეტილებების მიღების დაგვიანებაში, რესურსების არაეფექტიან განაწილებასა და მონაცემებზე არასაკმარისად დაფუძნებულ მართვაში. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს სამართალდამცავი სისტემისთვის, რომლის საქმიანობა საჭიროებს მაღალი სიზუსტის, პროგნოზირებადობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სამართალდამცავი

სისტემის მართვაში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, მისი ეფექტიანობის, ინსტიტუციური ტრანსფორმაციისა და სამართლებრივი გამოწვევების ანალიზის კონტექსტში. თანამედროვე საზოგადოებაში სამართალდამცავი ორგანოები სულ უფრო მეტად დგანან სწრაფი რეაგირების, რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და მზარდი დანაშაულებრივი რისკების წინაშე, რაც ტრადიციული მართვის მოდელების გადახედვას და ინოვაციური ტექნოლოგიური მიდგომების დანერგვას განაპირობებს.

სტატიის მიზანია სამართალდამცავ სისტემაში მართვის პროცესების სიღრმისეული ანალიზი, ძირითადი ხარვეზების იდენტიფიცირება და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობების შეფასება მმართველობითი ეფექტიანობის გაუმჯობესების კონტექსტში. კვლევა ეფუძნება ნორმატიული და ინსტიტუციური ანალიზის, შედარებითი სამართლისა და მმართველობითი პროცესების ანალიტიკურ მეთოდებს. ასევე განხილულია ხელოვნური ინტელექტის მართვითი მოდელების კონცეპტუალური ჩარჩოები და საერთაშორისო პრაქტიკაში მათი გამოყენების მაგალითები.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სამართალდამცავ სისტემაში არსებული მართვის ხარვეზები ძირითადად უკავშირდება მონაცემთა ინტეგრაციის დაბალ დონეს,

პროგნოზირების შეზღუდულ შესაძლებლობებსა და სტრატეგიული დაგეგმვის სისუსტეებს. ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ინტეგრაცია ქმნის რეალურ პოტენციალს ოპერაციული მართვის, რისკების შეფასებისა და რესურსების ოპტიმიზაციისთვის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მართვის ხარისხს.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამართალდამცავ მმართველობაში არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციად; იგი წარმოადგენს მმართველობითი პარადიგმის ტრანსფორმაციის საფუძველს, რომელიც მოითხოვს შესაბამის სამართლებრივ, ეთიკურ და ინსტიტუციურ ჩარჩოებს.

საკვანძო სიტყვები: სამართალდამცავი სისტემა; ხელოვნური ინტელექტი; ინსტიტუციური ეფექტიანობა; მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

შესავალი

იმისათვის, რომ სამართალდამცავ სისტემაში მართვის პროცესი გახდეს უფრო შედეგიანი და აღმოიფხვრას მიმდინარე და არსებული ხარვეზები, აუცილებელია სამართალდამცავი სისტემის მართვის პროცესის ანალიზი. პრობლემაზე მუშაობისას პირველი ნაბიჯი უნდა გადაიდგას პრობლემის იდენტიფიკაციის მიმართულებით, რაც თავის მხრივ გვხმარება შემდგომი ნაბიჯების გადადგმაში, საბოლოოდ კი

სისტემის ეფექტური მართვის განხორციელებაში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმ შესაძლებლობების ფართოდ გამოყენება, რასაც თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები გვთავაზობს, კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის გამოყენება ერთის მხრივ პრობლემების ანალიზის კუთხით და მეორეს მხრივ სისტემის სამართლიანი, მდგრადი მართვის მიმართულებით.

მეცნიერების დარგში ახალი მიღწევები და აღმოჩენები, ხშირად მიანიშნებს არსებული მიდგომების და პრაქტიკის ხარვეზზე ან დრომოჭმულობაზე. მითუმეტეს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სამართალდამცავ სისტემაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სისტემის ეფექტურობასთან პირდაპირ კავშირშია ინოვაციური მიდგომები და ხშირად ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა საუკეთესო გამოსავალია სუსტი მხარეების და ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით. მით უმეტეს გასათვალისწინებელია, რომ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის უმთავრესი მიზანი არის ის საზოგადოებრივი წესრიგი, რომლის დარღვევის სუბიექტი შესაძლოა კარგად ფლობდეს ტექნოლოგიურ მიღწევებს. აქედან გამომდინარე სამართალდამცავ სისტემაში ხელოვნური ინტელექტით, როგორც მართვის ეფექტიანობის ინსტრუმენტით მხარდაჭერილი მართვა ზრდის სისტემის შესაძლებლობებს, ხოლო რისკებს - ამცირებს.

ძირითდი ტექსტი

საჯარო მმართველობაში მართვის კლასიკური მოდელები ეფუძნება იერარქიულ ორგანიზაციას, მკაცრად განსაზღვრულ წესებსა და გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზებულ, ვერტიკალურ ურთიერთობებს. მართვის კლასიკური მოდელების მიხედვით, ეფექტიანი მმართველობა მიიღწევა კომპეტენციების მკაფიო განაწილებით, პროცედურების სტანდარტიზაციითა და მკაცრი კონტროლის მექანიზმებით (Weber, 1947). პროცედურების სტანდარტიზაციაში რასაკვირველია იგულისხმება ის, რომ ყველა ქმედება წინასწარ განსაზღვრული წესით უნდა შესრულდეს, ანუ აქ მთავარია თანმიმდევრულობა, ერთგვაროვნება და პროგნოზირებადობა. მკაცრი კონტროლის მექანიზმი კი წესების ზუსტად შესრულებაზე ზედამხედველობას, ზედა რგოლის კონტროლს ქვედა რგოლზე გულისხმობს.

მაქს ვებერი* საჯარო მმართველობას განიხილავს როგორც რაციონალურ, წესებზე დაფუძნებულ და

* ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გერმანელი სოციალური მეცნიერი (სოციოლოგი, ეკონომისტი და პოლიტოლოგი), რომელიც ცხოვრობდა 1864–1920 წლებში. ცნობილია ბიუროკრატიის თეორიით. ვებერმა აღწერა, თუ როგორი უნდა იყოს „სრულყოფილი“ ბიუროკრატიული ორგანიზაცია: მკაფიო იერარქია, გაწერილი წესები და პროცედურები, მოვალეობების განაწილება, პროფესიონალიზმი, ემოციისგან გამიჯნული გადაწყვეტილებები.

იერარქიულ სისტემას. ფრედერიკ ტეილორის* სამეცნიერო მართვის თეორია კი ამავე დროს ყურადღებას ამახვილებს შრომის პროცესების ოპტიმიზაციასა და ეფექტიანობის გაზრდაზე სტანდარტიზებული მეთოდების გამოყენებით (Taylor, 1911). შესაბამისად, სტანდარტული მეთოდების გამოყენება ნიშნავს საქმის გაკეთებას ერთნაირად განსაზღვრული წესით (მაგალითად: საბანკო მომსახურების სფეროში საბანკო ოპერაციების სტანდარტიზაცია მოიცავს: კლიენტის იდენტიფიკაციის ერთიან პროცედურას, მოთხოვნილი დოკუმენტების ერთნაირ ჩამონათვალს; ოპერაციების დამუშავების ფიქსირებულ თანმიმდევრობას. ანუ ნებისმიერი თანამშრომელი ერთსა და იმავე წესს მიჰყვება და შედეგი იქნება ერთნაირად საიმედო და სწრაფი. . მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა მოდელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საჯარო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, თანამედროვე საჯარო მმართველობაში ისინი ხშირად კრიტიკის ობიექტია მოქნილობის ნაკლებობისა და ინოვაციებზე შეზღუდული რეაგირების გამო (Osborne, 2006).

საჯარო მართვა ერთის მხრივ მიმართულია

* ამერიკელი ინჟინერი და მენეჯმენტის თეორიკოსი (1856–1915), რომელიც ითვლება „სამეცნიერო მენეჯმენტის“ მამად. ტეილორის აზრით, სამუშაოს შესრულება შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ: დაშლი პროცესს პატარა ოპერაციებად, თითო ოპერაციას შეასწავლი „სწორად“ და სტანდარტიზებულად, მოაშორებ მუშას თვითნებურ მეთოდებს, დაგეგმვას განახორციელებს მენეჯმენტი, შესრულებას — მუშა.

საზოგადოების კეთილდღეობისკენ და არის მოქმედების ფართო არეალი, სადაც ადამიანები სხვადასხვა საჭიროებების გამო ყოველდღიურ რეჟიმში არინ ჩართულები სახელმწიფოს მონაწილეობით და მისი ზედამხედველობის ქვეშ. ამ სივრცეში კარგად იგრძნობა სახელმწიფოსა და ადამიანის ურთიერთკავშირი და თანამშრომლობა. დრომ აჩვენა რომ ეს ვერტიკალური ურთიერთობა მკაცრად ბიუროკრატიულია და დროის ცვლილებასთან ერთად აუცილებელია დადგენილი, მაღალი ბიუროკრატიული პროცედურებით გაჯერებული სამუშაო მეთოდოლოგიის და წესების ცვლილება და მათი მორგება დროის შესაფერის ინოვაციურ მიდგომებთან ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და მოქალაქეზე ორიენტირებულობის გასაზრდელად.

სამართალდამცავი სისტემის ერთ-ერთ ძირითადი განმსაზღვრელია მკაცრი იერარქიული სტრუქტურა. ეს მკაცრი, ვერტიკალურ პრინციპზე დაფუძნებული მოდელი უზრუნველყოფს ოპერაციულ მართვას, რაშიც იგულისხმება სამართალდამცავი უწყების ყოველდღიური, პრაქტიკული საქმიანობის ხელმძღვანელობა (ოპერაციების დაგეგმვა, ბრძანებების გაცემა, რესურსების განაწილება, მოვლენებზე რეაგირება, შესრულებული სამუშაოს კონტროლი). ასეთი მოდელი აუცილებელია სწრაფი რეაგირებისა და კრიზისულ სიტუაციებში კოორდინირებული მოქმედებისთვის. ვერტიკალური, მკაცრი იერარქია საშუალებას იძლევა,

რომ 1 ბრძანება სწრაფად გავიდეს ზემოდან ქვემოთ; 2 პასუხისმგებლობა მკაფიოდ იყოს განსაზღვრული; 3 ქმედებები იყოს კოორდინირებული და დისციპლინირებული. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ვერტიკალური მოდელი ზრდის ცენტრალიზებული გადაწყვეტილებების სუბიექტურობისა და ინფორმაციის დაკარგვის რისკს (Denhardt & Denhardt, 2015).

სამართალდამცავ სისტემაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ანგარიშვალდებულება, ვინაიდან ინსტიტუციური ძალაუფლება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. სწორედ ამიტომ, ანგარიშვალდებულება სამართალდამცავ ორგანოებს საშუალებას არ აძლევს რომ ძალაუფლება ბოროტად გამოიყენონ, ვინაიდან ისინი არიან კონტროლირებადი, პასუხს აგებენ დარღვევებზე, ემორჩილებიან კანონს და სამართლიანობის პრინციპს. კლასიკური ბიუროკრატიული მოდელის პირობებში ანგარიშვალდებულება ძირითადად შიდა კონტროლის მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, როგორცაა: ზედამხედველობა, შიდა გამოძება და ინსპექტირება, დისციპლინური კომისიები, შიდა აუდიტი და მონიტორინგი. ანუ კონტროლის სუბიექტი არის თავად უწყება ან მისი ზედამხედველი სტრუქტურა, და არა საზოგადოება, მედია, სასამართლო, არასამთავრობოები და ა.შ. რაც თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში ხშირად არასაკმარისად მიიჩნევა საზოგადო-

ებრივი ნდობის შესანარჩუნებლად (Pollitt & Bouckaert, 2017).

გარდა ამისა, სამართალდამცავი სისტემის ფუნქციონირება დაკავშირებულია მაღალი დონის ოპერაციულ, სამართლებრივ და რეპუტაციულ რისკებთან. არასწორი კოორდინაცია, ინფორმაცია, ადამიანური შეცდომები, სპეცოპერაციის ჩავარდნა, რესურსების ნაკლებობა, ძალის გამოყენების არალეგიტიმურობა, ადამიანის უფლებების დარღვევა, უკანონო დაკავება, მოსმენები, მძიმე შედეგების მომტანია სამართალდამცავი ორგანოებისთვის და იწვევს კრიტიკას და საზოგადოების მხრიდან ნდობის დაკარგვას, რომლის აღდგენა შემდგომში მეტად რთულია.

დანაშაულის დინამიკური ბუნება, ტექნოლოგიური ცვლილებები და საზოგადოებრივი მოლოდინების ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის გაურკვეველობას, რაც ტრადიციულ მმართველობით მიდგომებს დამატებით გამოიწვევებს უქმნის (Wilson, 1989). აღნიშნული გარემოებები აჩვენებს, რომ კლასიკური მართვის მოდელები საჭიროებს თანამედროვე ინსტრუმენტებით გაძლიერებას, რაც ქმნის საფუძველს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განხილვისთვის სამართალდამცავი მმართველობის კონტექსტში.

სამართალდამცავი სისტემის მკაცრი იერარქიული სტრუქტურა და წესებზე დაფუძნებული მართვა ისტორიულად უზრუნველყოფდა სტაბილურობასა და

კონტროლს. ეს მოდელი კარგად მუშაობდა მაშინ, როცა გარემო უფრო პროგნოზირებადი იყო. თუმცა, თანამედროვე უსაფრთხოების გარემო ხასიათდება მაღალი დინამიურობით, ინფორმაციის მოცულობის ზრდითა და რისკების კომპლექსურობით, რაც ტრადიციულ მმართველობით მიდგომებს მნიშვნელოვან შეზღუდვებს უქმნის. თანამედროვე სამყაროში საფრთხეები სწრაფად იცვლება (კიბერდანაშაული, ტერორიზმი, ჰიბრიდული საფრთხეები) და მონაცემებთა რაოდენობა ძალიან მოცულობითია: კამერები, ციფრული კვლები, ინტელექტუალური სისტემები. სწორედ აქედან გამომდინარე რისკები, პრობლემები უფრო კომპლექსური გახდა და ტექნოლოგიური სფეროები, სოციალური ქსელები, ფიანსური სისტემები, საერთაშორისო ურთიერთობები მოიცვა. ბიუროკრატიული მოდელებისთვის დამახასიათებელი ფორმალიზებული პროცედურები ხშირად ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების საჭირო სისწრაფესა და მოქნილობას (Pollitt & Bouckaert, 2017).

ტრადიციული ბიუროკრატიული მოდელი მკაცრ ეიარარქიულ სტრუქტურას და წესებზე დაფუძნებულ მართვას გულისხმობს,. ასეთ მოდელში მართვა არის ვერტიკალური, ანუ ყველაფერი მოდის ზემოდან ქვევით და ფორმალურად არის გაწერილი პროცედურები, ინსტრუქციები, სტანდარტები. თანამედროვე უსაფრთხოება კი მოითხოვს სწრაფ რეაგირებას, მოქნილობას

და გადაწყვეტილების დეცენტრალიზაციას. აღნიშნულში იგულისხმება გარემოს ცვლილებაზე სწრაფი რეაგირების უნარი და გადაწყვეტილების მიღების შემჭიდროვებული ოპერატიული პროცედურები.

თანამედროვე უსაფრთხოების გარემო არის შეცვლილი და ადრე არსებული მარტივი საფრთხეების ნაცვლად გვაქვს საფრთხეები, რომლებიც ვითარდება წუთებში, საათებში. ამავე დროს უსაფრთხოების გარემო უფრო ქსელური გახდა და ერთი მოვლენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს სხვასთან, მაგალითად ტერორიზმი, ფინანსები, ტექნოლოგია, სოციალური ქსელები. თანამედროვე პირობებში, სწორედ რომ მნიშვნელოვანია პრევენციული მექანიზმების განვითარება, რომ განხორციელდეს რისკების პროგნოზირება და არა უკვე მომხდარ ფაქტებზე რეაგირება.

ტრადიციული მართვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის სწორედ რეაქტიული ხასიათი, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება უკვე მომხდარ ფაქტებზე დაყრდნობით და არა პროგნოზირებადი ანალიზის საფუძველზე. სამართალდამცავ სისტემაში, სადაც საფრთხეები სწრაფად იცვლება და ხშირად არის ურთიერთდაკავშირებული, ასეთი მიდგომა ზღუდავს პრევენციული მექანიზმების განვითარებას და ზრდის ოპერაციულ რისკებს. ამასთან, ინფორმაციის ფრაგმენტაცია და მონაცემთა ინტეგრაციის დაბალი დონე, როდესაც არ ხდება მისი განვრცობა დროულად ერთიან

ბაზაში, ართულებს სრულფასოვან სურათზე დაფუძნებულ მართვას. როდესაც ვერ ხდება საფრთხეების კავშირების დანახვა, ეს ხელს უშლის სწორ ანალიტიკას, პროგნოზირებას, პრევენციას და ერთიანი ოპერაციის დაგეგმვა-განხორციელებას.

გარდა ამისა, ტრადიციული მმართველობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანურ ფაქტორზე, რაც გადაწყვეტილებების სუბიექტურობის, არაერთგვაროვანი პრაქტიკისა და შეცდომების რისკს ზრდის. თანამედროვე საჯარო მმართველობაში, განსაკუთრებით სამართალდამცავ სფეროში, იზრდება მოთხოვნა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, გამჭვირვალე და გაზომვად გადაწყვეტილებებზე, რადგან იგი უფრო ეფექტურია, იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რატომ იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება რა შედეგს ველით, ასევე იძლევა შესაძლებლობას რეალურად იქნეს შფასებული გადაწყვეტილების წარმატების ხარისხი (მაგ. დანაშაულის, რისკების შემცირება, რეაგირების დროის შემცირება) რასაც კლასიკური მართვის მოდელები მხოლოდ შეზღუდულად უზრუნველყოფს (Denhardt & Denhardt, 2015).

ამრიგად, თანამედროვე გამოწვევები — მათ შორის დანაშაულის ტრანსნაციონალური ხასიათი, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და საზოგადოების ნდობის მაღალი მოლოდინი — აჩვენებს, რომ ტრადიციული მართვის მოდელები ვერ პასუხობს

ეფექტიანობის, პროგნოზირებადობისა და ანგარიშვალდებულების თანამედროვე მოთხოვნებს. ეს გარემოება ქმნის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს ინოვაციური, მონაცემებზე დაფუძნებული მართვის მოდელების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განხილვისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სამართალდამცავი სისტემის სპეციფიკა ხასიათდება მკაცრი იერარქიული სტრუქტურით, მაღალი ანგარიშვალდებულებით, ვინაიდან თანამშრომლები და ხელმძღვანელები კონკრეტულად არიან პასუხისმგებლები თავიანთ ქმედებებზე, რასაც თან სდევს სამართლებრივი შედეგები. სისტემაში მაღალია რისკები, ვინაიდან შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ზიანი (უსაფრთხოების ჩავარდნა, უფლებების დარღვევა, კრიმინალის ზრდა). ამ გარემოებების გამო სისტემა უზრუნველყოფილია კონტროლის მექანიზმებით, რომლის მიზანია გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობა. თუმცა ზედმეტმა ბიუროკრატია და კონტროლმა შეიძლება გამოიწვიოს სისტემური ხარვეზები, როგორცაა გადაწყვეტილებების დაგვიანება, ინფორმაციის გადაცემის შეფერხება და რესურსების არაეფექტიანი გამოყენება. (Bayley & Shearing, 2001). შესაბამისად სისტემა ხდება თითქოს უსაფრთხო, მაგრამ არაეფექტური და ნელი.

ტრადიციული მართვის მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია ნორმატიულ, იერარქიულ პრინცი-

პეზზე, ხშირად ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, როგორცაა მრავალფეროვანი და არაპროგნოზირებადი კრიმინალური ქცევის დივერსიფიკაცია, სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები და დიდი მონაცემთა ნაკადები, მაგალითად: ვიდეოთვალთვალის სისტემები, სოციალური ქსელები, ბანკის ტრანზაქციები, ონლაინ აქტივობა (Osborne & Gaebler, 1992). მათი შეზღუდულობა გამოიხატება ნელ რეაგირებაში, გადაწყვეტილებების წინასწარ პროგნოზირების ნაკლებობაში და ინოვაციების ჩაკეტვაში. მაგალითად: სოციალურ ქსელებში ტერორისტული ქსელის მიგნებას შეიძლება დასჭირდეს მრავალეტაპიანი მონაცემთა ანალიზი, რაც ტრადიციული ბიუროკრატიული რეჟიმით თითქმის შეუძლებელია.

ამ კონტექსტში, საყურადღებოა საქართველოში ახალგაზრდებში მარიხუანას შემენის ონლაინ არხები. კერძოდ, საქართველოში უკანასკნელ პერიოდში დაფიქსირებული შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდები მარიხუანას პროდუქციას სოციალური ქსელებისა და დაშიფრული მესენჯერების (მაგ., Telegram) საშუალებით მოიპოვებენ. ეს ასახავს კრიმინალური ქცევის დივერსიფიკაციისა და ტექნოლოგიური პლატფორმების ზრდის ტენდენციას. ასეთი სქემები კომპლექსურს ხდის სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებას, რადგან ტრანზაქციები და კომუნიკაციები ხშირად მიმდინარეობს დახურულ ციფრულ არხებში, რაც

ზრდის ანალიტიკური და ოპერატიული მონაცემების მოცულობას და ართულებს დროულ ინტერვენციას. ტრადიციული ნარკოტიკების გასაღება თუ იყო ფიზიკური კონტაქტით; ახალი მოდელი ხდება ონლაინ კომუნიკაციით + კრიპტო/კოდი + პერსონალური მარაგები. ეს უკვე ახალი ქცევითი ფორმაა, სადაც რისკი გამყიდველისთვის მცირდება, იდენტობის დამალვა მარტივდება, ახალგაზრდები ადვილად ერთვებიან შექმნის პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონაცემებზე დაფუძნებული მართვა, როდესაც საკმარისი არ არის ინტუიცია, გამოცდილება, სუბიექტური შეფასებები და ბიუროკრატიული პროცედურები, არამედ აუცილებელია რეალური მონაცემები, სტატისტიკური ანალიზი და მტკიცებულებები. შესაბამისად ეს ნიშნავს, რომ მართვისას მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ინტეგრაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ: მონაცემების დამუშავებას, ანალიტიკას, პროგნოზირებას, ავტომატიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტი კი არ ცვლის პოლიციელს, არამედ ეხმარება მას ოპერატიულად იმოქმედოს და დააჩქაროს გადაწყვეტილებები. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამართალდამცავ სისტემაში შესაძლებელს ხდის ოპერაციული მონაცემების ანალიზს რეალურ დროში, რისკების პროგნოზირებას, რაც

იძლევა პრევენციული მიდგომის შესაძლებლობას, რესურსების სწორად გამოყენება-ოპტიმიზაცია და უფრო ობიექტურ გადაწყვეტილებების მიღებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სისტემის ეფექტიანობას და საზოგადოებრივი ნდობის ხარისხს (Kettunen & Kallio, 2020;).

ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია სამართალდამცავ მმართველობაში არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციაა, არამედ სისტემური ცვლილების შესაძლებლობა, რომელიც ეხმარება გადალახოს ტრადიციული მართვის შეზღუდვები. ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება ეფექტურია შემდეგი მიმართულებით:

1. **ოპერაციული მართვის გაუმჯობესება** –ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია რეალურ დროში პროცესების მონიტორინგი, კრიმინალური აქტივობის ანალიზი და საინფორმაციო ნაკადების ინტეგრაცია სხვადასხვა დეპარტამენტიდან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გადაწყვეტილებების მიღების დროს და ზრდის ეფექტურობას.

2. **რისკების პროგნოზირება** – მანქანური სწავლების მოდელები ეხმარებიან კრიმინალური ქცევის ან შემთხვევების წინასწარ გამოვლენაში, რაც ზრდის პრევენციის შესაძლებლობას და მიზანშეწონილ რესურსების განაწილებას (Brantingham et al., 2018).

3. **რესურსების ოპტიმიზაცია** –ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები ახერხებენ სამართალდამცავი

პერსონალისა და ტექნიკური რესურსების ეფექტურად განაწილებას, დაზოგვის მიზნით, და ამავდროულად უზრუნველყოფენ ოპერაციების ხარისხის შენარჩუნებას.

4. მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები – ტრადიციულთან შედარებით, ხელოვნური ინტელექტი იძლევა შესაძლებლობას გადაწყვეტილებები მიიღონ ობიექტურად, მრავალმხრივ ანალიზზე დაფუძნებით, რაც ზრდის ანგარიშვალდებულებასა და სტრატეგიული დაგეგმვის სიზუსტეს.

მოკლედ, ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს სამართალდამცავ მმართველობაში არა უბრალოდ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტს, არამედ მმართველობითი პარადიგმის ტრანსფორმაციის საფუძველს, რაც ნიშნავს იმას რომ ხელოვნური ინტელექტი არ ცვლის მხოლოდ ინსტრუმენტებს, არამედ ახორციელებს თვითონ მართვის მექანიზმის ღრმა და სისტემურ ცვლილებას, ანუ: როგორ მიიღება გადაწყვეტილებები, როგორ ხდება რისკების შეფასება, როგორ ნაწილდება რესურსები, როგორ ხდება ოპერაციული რეაგირება, როგორ ხდება ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. უფრო კონკრეტულად რომ ავხსნათ ტრადიციული რეაქტიური, იერარქიული და გამოცდილებაზე დაფუძნებული მართვის მოდელი იცვლება პროგნოზირებად, მონაცემებზე ორიენტირებულ და ოპერაციულად მოქნილ მოდელად. ეს კი რასაკვირველია საჭიროებს სამართლებრივ, ეთიკურ და ინსტიტუციურ ჩარჩოებს.,

რაც ასევე კომპლექსური საკითხია და მოიცავს:

1. საკანონმდებლო ბაზის არსებობას, პერსონალური მონაცემების დაცვას, ადამიანის უფლებების დაცვას, ანგარიშვალდებულებას
2. მიუკერძოებლობას, სამართლიან გამოყენებას, გამჭვირვალობას, დისკრიმინაციის თავიდან აცილებას
3. პასუხისმგებელ სტრუქტურებს, მონიტორინგის სისტემას, ზედამხედველობას, ტრენინგებს და შესაბამისი კადრების მომზადებას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ხელს უწყობს სამართალდამცავი სისტემის უფრო სწრაფ, პროგნოზირებად და მონაცემებზე დაფუძნებულ რეაგირებას თანამედროვე გამოწვევებზე.

შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი სამართალდამცავ სფეროში არა მხოლოდ ტექნიკურ შესაძლებლობებს ქმნის, არამედ მონაცემებზე დაფუძნებულ, პროგნოზირებად და ოპერატიულად მოქნილ მართვის ახალ მოდელს აყალიბებს. ამ პროცესს თან ახლავს სამართლებრივი, ეთიკური და ინსტიტუციური ჩარჩოების აუცილებლობა, რათა უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა, კანონიერება, გამჭვირვალობა და ინსტიტუციური მდგრადობა.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ სამართალდამცავი სისტემის

ეფექტიანობა თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მართვის მოდელების ადაპტირებაზე სწრაფად ცვალებად უსაფრთხოების გარემოსთან. ტრადიციული, მკაცრად იერარქიული და რეაქტიულ გადაწყვეტილებებზე ორიენტირებული მმართველობითი მიდგომები ვეღარ უზრუნველყოფს საჭირო სისწრაფეს, პროგნოზირებადობასა და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დანაშაულის ფორმები ტექნოლოგიურად განვითარებული და ქსელურია.

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სამართალდამცავ მმართველობაში ქმნის საფუძველს მონაცემებზე დაფუძნებული, პროგნოზირებადი და ოპერაციულად მოქნილი მართვის მოდელის ჩამოყალიბებისთვის. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელს ხდის ოპერაციული პროცესების რეალურ დროში ანალიზს, რისკების წინასწარ შეფასებას, რესურსების მიზნობრივ განაწილებასა და გადაწყვეტილებების ობიექტურობას, რაც პირდაპირ აისახება როგორც ინსტიტუციურ ეფექტიანობაზე, ისე საზოგადოებრივი ნდობის ხარისხზე.

ამასთან, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამართალდამცავ სისტემაში არ შეიძლება განიხილებოდეს იზოლირებულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებად. მისი ეფექტიანი დანერგვა მოითხოვს მკაფიო სამართლებრივ რეგულირებას, ეთიკურ პრინციპებზე

დაფუძნებულ გამოყენებას და ძლიერი ინსტიტუციური ზედამხედველობის მექანიზმებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი სამართალდამცავ სფეროში უნდა შეფასდეს როგორც მმართველობითი ტრანსფორმაციის სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ ინოვაციას სამართლებრივ და ინსტიტუციურ პასუხისმგებლობასთან.

Artificial Intelligence in Law Enforcement Systems: Governance Efficiency and Institutional Challenges

Anzor Abralava - Corresponding Member of the Georgian
National Academy of Sciences

Nikoloz Phiphia, Professor of Georgian Technical University

Roland Meskhi, PhD Student of Georgian Technical University

Abstract

The modern law enforcement system operates in a complex and dynamic environment in which the effectiveness of management processes determines not only institutional performance but also the quality of the rule of law and public trust. Existing governance models frequently face structural and procedural deficiencies, manifested in delays in decision-making, inefficient allocation of resources,

and management practices insufficiently grounded in data. These challenges are particularly critical for law enforcement systems, whose activities require high levels of accuracy, predictability, and accountability mechanisms.

This paper is devoted to the analysis of the theoretical and practical aspects of the use of artificial intelligence (AI) in the management of law enforcement systems, with particular emphasis on its effectiveness, institutional transformation, and associated legal challenges. In contemporary society, law enforcement agencies are increasingly confronted with the need for rapid response, optimal allocation of resources, and the growing complexity of criminal risks, which necessitates the reconsideration of traditional governance models and the adoption of innovative technological approaches.

The purpose of this article is to conduct an in-depth analysis of management processes within the law enforcement system, identify key deficiencies, and assess the potential of artificial intelligence in enhancing governance efficiency. The research is based on normative and institutional analysis, comparative legal methods, and analytical approaches to governance processes. The study also examines conceptual frameworks of AI-driven governance models and examples of their application in international practice.

The findings indicate that management deficiencies within law enforcement systems are primarily linked to low

levels of data integration, limited predictive capabilities, and weaknesses in strategic planning. The integration of artificial intelligence tools presents significant potential for improving operational management, risk assessment, and resource optimization, thereby substantially enhancing the overall quality of governance.

The article substantiates that the use of artificial intelligence in law enforcement governance should not be viewed merely as a technological innovation; rather, it constitutes the foundation for a transformation of the governance paradigm, requiring the establishment of appropriate legal, ethical, and institutional frameworks.

Keywords: Law enforcement system; Artificial intelligence; Institutional effectiveness; Data-driven decision-making.

ბიბლიოგრაფია

1. Bayley, D. H., & Shearing, C. (2001). *The new structure of policing: Description, conceptualization, and research agenda*. National Institute of Justice. <https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/new-structure-policing-description-conceptualization-and-research-final-report>
2. Brantingham, P. J., Valasik, M., & Mohler, G. O. (2018). Does predictive policing lead to biased arrests? Results from a randomized controlled trial. *Statistics and Public Policy*,

- <https://www.math.ucla.edu/~bertozi/papers/BrantinghamMohlerA.pdf>
3. Denhardt, R. B., & Denhardt, J. V. (2015). *Public administration: An action orientation* (7th ed.). Cengage Learning. [https://nibmehub.com/opac-service/pdf/read/Public%20Administration %20An%20Action%20Orientation.pdf](https://nibmehub.com/opac-service/pdf/read/Public%20Administration%20An%20Action%20Orientation.pdf)
 4. Osborne, D., & Gaebler, T. (1993). *Reinventing government: How the entrepreneurial spirit is transforming the public sector*. <https://www.jstor.org/stable/27894839>
 5. Osborne, S. P. (2006). The new public governance? *Public Management Review*, 8(3). <https://doi.org/10.1080/14719030600853022>
 6. Pollitt, C., & Bouckaert, G. (2017). *Public management reform: A comparative analysis* (4th ed.). Oxford University Press. <https://ndl.ethernet.edu.et/bitstream/123456789/40090/1/102.Christopher%20Pollitt.pdf>
 7. Taylor, F. W. (1911). *The principles of scientific management*. Harper & Brothers. [https://dn790007.ca.archive.org/0/items/principlesofsci e00taylrich/principlesofscie00taylrich.pdf](https://dn790007.ca.archive.org/0/items/principlesofsci00taylrich/principlesofscie00taylrich.pdf)
 8. Weber, M. (1947). *The theory of social and economic organization* (A. M. Henderson & T. Parsons, Trans.). Oxford University Press. (Original work published 1922) https://archive.org/details/weber-max.-the-theory-of-social-and-economic-organization-1947_202106/page/99/mode/1up

წიგნთან დაკავშირებული პრობლემები - ხელოვნური ინტელექტი ინტელექტუალური საკუთრების ჭრილში

გივი ლობჯანიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

*რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.
ბრძანებდა შოთა რუსთაველი.*

აბსტრაქტი

უფალმა არაფრისაგან შექმნა სამყარო _ ეს მხოლოდ მას ხელეწიფება _ და ყველაფერი ადამიანისათვის გააკეთა. სხვაა, რას აკეთებს ადამიანი მისთვის, ზოგადად ადამიანისთვის და ბოლოს საკუთარი თავისათვის.

დედამიწაზე ამდენი ბოროტება ვისი მოგონილი და ჩადენილია? - ადამიანისა! ამას ვერ შეძლებდა მთელი ცხოველთა სამყარო ერთად აღებული.

აი, რას წერს თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი მოაზროვნე ოახ ჰარარი: „ ამ 20 000 წლის განმავლობაში კაცობრიობა ქვისპირიანი წამახული შუბებით მამონტებზე ნადირობიდან კოსმოსური ხომალდებით მზის სისტემის გამოკვლევამდე მივიდა, მაგრამ ეს უფრო მარჯვე ხელებისა და დიდი ტვინების (სინამდვილეში, ადამიანის ტვინი, როგორც ჩანს, დღეს უფრო მცირე

ზომისა) განვითარების წყალობით არ მოუხერხებია. კაცობრიობის მიერ პლანეტის დაპყრობის პროცესში უმთავრესი როლი მრავალი ადამიანის ერთმანეთთან დაკავშირების ჩვენეულმა უნარმა შეასრულა. ადამიანები პლანეტას იმიტომ კი არ განაგებენ, რომ ცალკეული მათგანი ცალკეულ შიმპანზესა ან მგელზე ბევრად ჭკვიანი და მოქნილია, არამედ იმიტომ, რომ ყველა სახეობის ცხოველს შორის მხოლოდ მათ შეუძლიათ, მასობრივად, მოქნილად ითანამშრომლონ ერთმანეთთან. ინტელექტი და ხელსაწყო-იარაღების დამზადების უნარიც ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ადამიანთა მრავალრიცხოვან ჯგუფებს რომ მოქნილი თანამშრომლობა არ ესწავლათ, ჩვენს გამჭრიახ ტვინებსა და მარჯვე თითებს ურანის ატომის გახლეჩის ნაცვლად დღესაც კაჟის ქვის დასამტვრევად გამოვიყენებდით“ (უფალ ნოახ ჰარარი, 2021). ავტორს ამით იმის თქმა სურს, რომ ადამიანი წარმატებული და ბედნიერი მხოლოდ ადამიანის გვერდითაა და არა მანქანის.

საკითხზე მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამჯერად მინდა ვისაუბრო მხოლოდ ერთ ადამიანურ პრობლემაზე - ეს არის წიგნი.

„პური ჩვენი არსობისა“, ზეციერმა, უფალმა პური იმისთვის მოგვცა, რომ ვიარსებოთ. ანუ შევინარჩუნოთ ფიზიკური სხეული; რისთვისაც უნდა ვიარსებოთ – ამისათვის მოგვეცა ბიბლია, ანუ წიგნი განსმსაზღვრელი

ჩვენი ყოფიერებისა, მთავარი ესაა.

თავის დროზე სოკრატემ ახსნა, ვინ არის ფილოსოფოსი, რით განსხვავდება მცოდნე კაცი და ფილოსოფოსი ერთმანეთისაგან: წიგნიერ კაცზე ამბობენ, მცოდნეაო, ფილოსოფოსზე კი მცოდნის მცოდნეაო;

ჩემი აზრით, პურის შემდეგ წიგნზე უკეთესი თვით უფალს არაფერი დაუდგენია. „ყველაზე გონიერი კაცი იგივე წიგნია“, – ბრძანებდა დიდი ილია. წიგნიერი კაცი მთარული ბიბლიოთეკააო, ეს ვინ თქვა, არ ვიცი, მაგრამ სრულიად ვეთანხმები. ყოველი კარგი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ რომ ცოტა უკეთესი უნდა გახდეს, ვიდრე იყავი, ეს კი გურამ დოჩანაშვილმა გვითხრა და ძნელია, ამასაც არ დაეთანხმო.

პურისაგან ნაწყენი და მოწამლული კაცი არავის უნახავს. იშვიათია წიგნიერი კაცის მიერ ჩადენილი ბოროტებაც და თუ ამის პრეცედენტი არსებობს, საკითხავია, რამდენადაა წიგნიერი ეს ადამიანი (ვგულისხმობთ ბიბლიას). ამ ორი ფენომენის შედარებითი განხილვაც უფლის ნებაა და განსაკუთრებულ გააზრებასა და დამოკიდებულებას საჭიროებს.

ბოროტება და დანაშაული განსხვავებული ცნებებია; დანაშაული ადამიანის მიერ ნორმით დადგენილი ქმედება ანუ უმოქმედობაა და იმაზეა დამოკიდებული, კანონმდებელმა რას მიანიჭა სავალდებულო ხასიათი – ერთსა და იმავე ქმედებას ზოგიერთი ხალხი და ქვეყანა შეიძლება დანაშაულად თვლიდეს, მეორე ხალხი და

ქვეყანა კი სამართალდარღვევად არ მიიჩნევის; ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

ბოროტება ბიბლიითაა განსაზღვრული და მისი არა მარტო ჩადენა, გაფიქრებაც კი დაუშვებელია. ამას გვასწავლის ის ათი მცნება, რომელიც თვით ღმერთმა დაადგინა.

საკვანძო სიტყვები: წიგნის მნიშვნელობა, ხელოვნური ინტელექტი, ინტელექტუალური სამართალი, სამართლის სუბიექტი, საავტორო უფლება.

შედეგი: წიგნის გამოცემისა და მოხმარების თემის დაკავშირებითა და განხილვით ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით, რაც საბოლოოდ აისახა ინტელექტუალური სამართლის ჭრილში, მივიღეთ მომიჯნავე პრობლემათა კავშირი თანამედროვე გამოწვევათა ფონზე.

ძირითადი ტექსტი

წიგნის წერისა და გამოქვეყნების პრობლემა ახალი არ არის და არც თანამედროვეობის გამომახილია, თუმცა ტექნიკურმა ევოლუციამ და პროგრესმა ბევრი რამ შეცვალა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანებს შეუძლბუქა ცხოვრების პირობები და მიეცა საშუალება, ნაკლები ენერჯის დახარჯვით მიეღწია მიზნისათვის.

ტრადიციულ ცხოვრებაში ბევრი რამ ჩანაცვლდა ახლით, პრობლემა შეექმნა წიგნსაც. ერთი შეხედვით, არ კლებულობს გამოცემული წიგნის რაოდენობა, ბევრია

წიგნის მაღაზიაც, მაგრამ ვერსად შეხვდებით ხალხ-მრავლობას, კანტი-კუნტად ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც წიგნით არიან დაინტერესებული, იკლო ბუკინისტების რაოდენობამაც იმიტომ, რომ წიგნის მკითხველთა რაოდენობა შემცირდა, რადგანაც ტექნიკურმა საშუალებებმა ჩაანაცვლა წიგნი.

ამასთან, საინფორმაციო საშუალებები ხშირად გვამცნობს, რა ძვირად ფასობს უნიკალური წიგნები აუქციონებსა თუ შავ ბაზარზე – წიგნის კოლექციონერები ამასაც მდიდრების რეკლამად იყენებენ, წიგნს მდიდრები ყიდულობენ იმისათვის, რომ იამაყონ მათი იშვიათობით. ნახატი კედლიდან გიყურებს და გაიძულებს, კარგად დააკვირდე და აღიქვა მხატვრისა და ნახატის სიდიადე. წიგნის ხომ მარტო ხელში აღება არ კმარა, გაშლა, წაკითხვა, გააზრება და გაცნობიერებაა საჭირო. ამისათვის კი დროს იშვიათად თუ ვინმე `კარგავს`. გარდა ზემოაღნიშნული პრობლემებისა, დღის წესრიგში დგება წიგნის გამოცემის საკითხი, რადგან ყველაფერი ძვირდება, წიგნი კი არ იყიდება. მწერალია თუ მეცნიერი, მიუხედავად ეკონომიკური პრობლემებისა, წერას თავს ხომ არ დაანებებს, მაგრამ როდემდე? წიგნისადმი ასეთი დამოკიდებულება ხომ არ შეამცირებს წიგნის დაწერის სურვილსაც?

თანამედროვე პერიოდმა გააჩინა ახალი პრობლემა, ხელოვნური ინტელექტი, რომელიც წერს გარკვეულ ტექსტებს, ხატავს, ქმნის მუსიკას და ა.შ. ეს პროცესი

ადამიანის აზროვნებაზეც მოახდენს გავლენას - რა თქმა უნდა, არასასურველს.

წიგნის თემა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ყოველთვის აქტუალური იყო. ცნობილი ქართველი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის აზრით, წიგნიერი საზოგადოება გაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე „სიბნელეში“ ჩარჩენილი ხალხი და, ამდენად, ხალხის მასების განათლებაზე ზრუნვა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საქმიანობად მიაჩნდა.

წიგნის მნიშვნელობაზე ძალიან ბევრს წერდა ილია ჭავჭავაძე. მას წიგნი არა მარტო ინფორმაციის გავრცელების საშუალებად, არამედ უფრო ფართო, საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების წყაროდაც მიაჩნდა.

„წიგნის არსებითი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ტფილისელს ამერიკელთან დაალაპარაკებს და ამერიკელს ტფილისელთან, თუმცა ერთმანეთი თავის დღეში თვალით არ ენახოთ“, - წერს ი. ჭავჭავაძე.

მისთვის, როგორც ქრისტიანისთვის, მნიშვნელოვანია საეკლესიო წიგნების კითხვისა და ცოდნის უნივერსალურობა. მისი აზრით, უეჭველია, ძლიერ გონიერი გახდება ის, ვინც მუდამ ჟამს კითხულობს საღმრთო წერილსა. ამის წამკითხავი ორნაირად არის სარგებლობაში, პირველად შეისწავებს ღვთის ვედრებასა და რამდენადაც მომატებულად კითხულობს, იმდენად მკვიდრად დაინერგება იმის გულში

სარწმუნოება ქრისტესი, და მეორედ: აქ შეხვდება მრავალ ნამდვილ ქართულ სიტყვასა, რომელნიც ამჟამად ბევრი მათგანნი აღარ იხმარებიან საერთო ლაპარაკში, და მაშინ, როდესაც საღმრთო წერილი გადმოუთარგმნიათ ქართულად ბერძნულითგან, ხმარებაში ყოფილა. მხოლოდ აქედან გადმოტანილი სიტყვა უნდა მოიხმაროს ისე, იმ კილოზე, როგორც ამჟამად ლაპარაკობს ხალხი.

საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს წიგნთან მიმართებაში არჩილ ჯორჯაძე:

„კარგი წიგნი გულში ჩაგრჩება, აგაღელვებს, ჩაგაფიქრებს. კარგი წიგნი თქვენი პირველი მეგობარია, რადგან იქ, იმ წიგნში, ჰპოვებთ თქვენს საკუთარს გულის წადილს, საკუთარ აზრს და მისწრაფებას. იშვიათია ამგვარი წიგნი, რადგან იგი ნაყოფია გონებრივი შემოქმედებითი ძალისა და ეგ ხომ „რჩეულთა ხვედრია“ (ილიას სიბრძნის სიმფონია, 2018). არჩ. ჯორჯაძე ეხება უცხოური წიგნების თარგმნის მნიშვნელობასაც, თუმცა მიაჩნია, რომ აქ შერჩევის პრინციპიც უნდა იქნეს დაცული და ...ის წიგნი უნდა იყოს გადმოთარგმნილი, რომელსაც შეუძლია „ადამიანობის“ გაღვიძება კაცში (არჩ. ჯორჯაძე, 1911). საქართველო რომ ისტორიულად წიგნიერი ქვეყანა იყო, ამაზე მიუთითებენ უცხოელი და ჩვენი სხვა ცნობილი მოღვაწეებიც; მთავარია, რომ „ჩვენს წინაპართ კარგად ესმოდათ, რა დიდი ზემოქმედება აქვს კარგად წაკითხულს“. ასე რომ, იაკობ ცურტაველის... ..

შოთა რუსთაველის სამშობლოს, მათ შთამომავალთ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული წიგნის ფასი და დანიშნულება. ნ. ნიკოლაძისთვის მთავარი არის, წიგნში ჩადებული ძალ-ღონე შედეგიანი იყოს საზოგადოების გასაღვიძებლად ჩვენი დროისთვისაც (ნ. ნიკოლაძე, 1931). ასე რომ, ნ. ნიკოლაძე საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლის ბრძოლის გზაზე წიგნს პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებს (ამიტომ იყო, რომ იმდროინდელი ხელისუფლება წიგნიერ კაცში საფრთხეს ხედავდა).

³ Hess, G., (2025). Digitalization Of Civil Procedure And Ai: The European Perspective, Pázmány Law Review XII. 213.

ტექნოლოგიურობა და სამართალწარმოების მიმდინარეობისას ხელოვნური ინტელექტის სისტემის დანერგვა, ვინაიდან პროცესის ტექნოლოგიზაცია მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს, ხოლო ხელოვნური ინტელექტი არის ალგორითმების კასკადი, რომელიც მოწინავე მათემატიკას ეფუძნება. ხშირია შემთხვევები, როცა ტერმინოლოგიური აღრევა თავად კონცეფციის დაკნინების საფუძველი ხდება, ამიტომ საჭიროა ხელოვნური ინტელექტის, როგორც ტერმინის გაანალიზება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისთვის.

ამავდროულად, სამართალწარმოების სუბიექტები არიან როგორც მხარეები, ასევე მოსამართლეები. სამოქალაქო პროცესი ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს, რომელიც ყველაზე პრაქტიკულად თვალსაჩინო მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა. მართალია სამოქალაქო პროცესის ხარისხი ფაქტების წარმოჩენასა და მხარეთა კვალიფიციურ ჩართულობაზეა დამოკიდებული, თუმცა საქმის შედეგი, კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების განმარტებაზე და მოსამართლის დისკრეციაზეა დამოკიდებული. სასამართლოს მიხედულება არ არის განუსაზღვრელი და იგი შემოიფარგლება კანონით დადგენილი ალტერნატივებით, თუმცა შინაგანი რწმენა არის ის მორალური კრიტერიუმი, რაც პრაქტიკაში ხშირად გადაწყვეტილების შედეგის განმსაზღვრელი

ფაქტორიც კი ხდება. ჩნდება კითხვა, შეძლებს ხელოვნური ინტელექტი შეისწავლოს სასამართლოს დისკრეციისა და შინაგანი რწმენის ფარგლები? ჰარტის სამართლებრივი ფილოსოფიის თანახმად, სასამართლოს დისკრეცია იწყება მას შემდგომ, რაც ამოიწურება ავტორიტეტულ საკანონმდებლო ჩანაწერთა მითითებები. ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი მოდელები კანონის ანალიზს ახდენენ მხოლოდ ფორმალური ენით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამტკიცებენ, რომ "ამ ტიპის რელაციური მოდელები ვერ ასახავენ სასამართლო დისკრეციის არსს, რადგან ისინი სერიოზულად ვერ ეკიდებიან ისეთი სფეროს, რომელიც თავისი ბუნებით პოლიტიკურიცაა და დინამიკურიც, როგორც სამართალია - სფერო, რომელშიც შეხედულებები და ღირებულებები მკვეთრად განსხვავდება და კონსენსუსის საბოლოოდ ჩამოყალიბება ნაკლებად სავარაუდოა."¹

ცხადია, რომ ხელოვნური ინტელექტი წარმოქმნილ სარგებელთან ერთად უამრავ კითხვას აჩენს, განსაკუთრებით კი ისეთ სფეროებში, რომელთა მიზანიც ადამიანის უფლებების კვალიფიციური დაცვაა. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადამიანებისთვის ძალიან დიდი პოტენციალის მქონეა, ამავედროულად ის სერიოზული საფრთხის წყარო

¹ Gordon, T., (1995). The Pleadings Game: An Artificial Intelligence Model of Procedural Justice, Springer-Science+Business Media.B.V., Preface, IX-X

შეიძლება გახდეს.¹

მთავარი კითხვაა: როგორ ზრდის ხელოვნური ინტელექტის დანერგვა სამართალწარმოების ეფექტურობას ეთიკური და პროცედურული გამოწვევების არსებობისას?² იმისათვის, რომ დადგინდეს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობა, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს თავად ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი განმარტება, მისი მიმართება სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან, ხოლო შემდგომ განხილულ იქნას AI-ის გამოყენების სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები.

ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი განმარტება

დღესდღეობით, კაცობრიობა იმყოფება სოციალური ტრანსფორმაციის პერიოდში, რომელიც დაკავშირებულია ერთი ტექნოლოგიური წესრიგის მეორეთი ჩანაცვლებასთან. ხელოვნური ინტელექტი საზოგადოებისთვის არის სიახლე, რომელიც ზრდის ნებისმიერი სფეროს გაციფრულების შანსს, თუმცა იმისათვის რომ

¹ Martsenko, N., (2020). Determining the place of artificial intelligence in civil law, 158, ხელმისაწვდომია:

<https://journals.indexcopernicus.com/api/file/viewByFileId/1234272.pdf>

უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

² Kouroupis, K., Christofides, G., (2025). "Artificial Intelligence and Civil Justice", AI, Sustainability and Solidarity in Advancing European Values in a Globalized Age, 39.

თვალსაჩინო გახდეს რამდენად შეუძლია ხელოვნურ ინტელექტს ცალკეულ სფეროებში რეალური შედეგის მიღწევა, პირველ რიგში დღის წესრიგში დგას თავად ტერმინის და კონცეფციის განმარტების საჭიროება.

ხელოვნური ინტელექტის ზოგადი განმარტება საკმაოდ რთული და აბსტრაქტულია. „ხელოვნური ინტელექტის“ კონცეფციის შემქმნელმა, ჯონ მაკარტიმ, ის განსაზღვრა, როგორც „ინტელექტუალური მანქანების შექმნის მეცნიერება და ინჟინერია“. ხოლო „ინტელექტი“, მაკარტის აზრით, „მსოფლიოში მიზნების მიღწევის უნარის გამოთვლითი ნაწილია“.¹ თუმცა მსგავსი განმარტებები ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ შეიქმნა, განვითარდა მსოფლიო და შეიცვალა მიზნის მიღწევის საშუალებებიც. დიდხნიანი მსჯელობის და კვლევის შემდეგ საზოგადოება მივიდა ხელოვნური ინტელექტის ზოგად განმარტებამდე, რომ იგი არის ცალკეული საკითხების ტექნოლოგიურად გადაწყვეტის კომპლექსი, რომელიც ადამიანის კოგნიტური უნარების იმიტაციის საშუალებას იძლევა. ტექნოლოგიური გადაწყვეტების კომპლექსი მოიცავს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას (მათ შორის, ინფორმაციულ სისტემებს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელებს და ინფორმაციის დამუშავების სხვა

¹ McCarthy, J., (2007). “What is Artificial Intelligence?” 2, ხელმისაწვდომია: <https://www-formal.stanford.edu/jmc/whatisai.pdf> უკანასკნელად გადამოწმებულია : [05/01/2026]

ტექნიკურ საშუალებებს), პროგრამულ უზრუნველყოფას (მათ შორის, მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებით), მონაცემთა დამუშავებისა და გადაწყვეტილებების ძიების პროცესებსა და სერვისებს. "ხელოვნური ინტელექტი ძირითადად ფოკუსირებულია კონკრეტული ტიპის ამოცანების ავტომატიზაციაზე, კერძოდ ისეთი ტიპის დავალებებზე, რომელთა შესრულება სავარაუდოდ ადამიანის ინტელექტის შესაძლებლობაა."¹

ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტის ცნებიდან გამოიყო სუსტი და ძლიერი ხელოვნური ინტელექტის კონცეფცია. „სუსტი“ ხელოვნური ინტელექტი აღქმულია, როგორც ტექნოლოგია, რომელიც შემოიფარგლება ერთი ფუნქციითა და ერთი დავალებით. „ძლიერი“ ხელოვნური ინტელექტი არის რეალური ტექნოლოგია (პროგრამა, პროგრამული უზრუნველყოფისა და ინჟინერიის კომბინაცია), რომელიც აღწევს ან აღემატება ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების დონეს და შეუძლია გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები ნებისმიერი ტიპისა და სახეობის

¹ Surden, H., (2019). Artificial Intelligence and Law: An Overview, University of Colorado Law School, Colorado Law Scholarly Commons, 1307, ხელმისაწვდომია: <https://scholar.law.colorado.edu/faculty-articles/1234>. უკანასკნელად გადამოწმებულია : [05/01/2026]

დავალების შესასრულებლად.¹

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ხელოვნური ინტელექტი არის „კომპიუტერული სისტემა, რომელსაც შეუძლია ისე მოიქცეს, თითქოს გონება ჰქონდეს“.² სხვები ამტკიცებენ, რომ ეს არის სისტემა, რომელიც რაციონალურად წყვეტს ამოცანებს.³ ასევე არსებობს მოსაზრება, რომ „ხელოვნური ინტელექტი“ არის „ცოდნის სფერო და არა სისტემა ან ტექნოლოგია“.

ევროკომისიის მიერ შემოთავაზებულ ხელოვნური ინტელექტის განმარტებაში აღნიშნულია, რომ ვირტუალურ ინტელექტუალურ სისტემას შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს საკუთარი ინჟინერული ნაწილი: „ხელოვნური ინტელექტი (AI) გულისხმობს სისტემებს, რომლებიც აჩვენებენ ინტელექტუალურ ქცევას, ანალიზებენ გარემოს და ახორციელებენ მოქმედებებს გარკვეული ხარისხის ავტონომიით, გარკვეული მიზნების მისაღწევად. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემები შეიძლება იყოს წმინდა პროგრამული, მოქმედებდეს ვირტუალურ სამყაროში (მაგალითად, ხმოვანი ასისტენტები, სურათების ანალიზის პროგრამული

¹ Castro, D., New, J., (2016). The promise of artificial intelligence, Center for Data Innovation, 3, ხელმისაწვდომია: <https://www2.datainnovation.org/2016-promise-of-ai.pdf> უკანასკნელად გადამოწმებულია : [05/01/2026]

² Chandra, R., Prihastomo, Y., (2012). Artificial Intelligence Definition: A Review, Master of Computer Science, University of Budi, 3.

³ Bellman, R., (1978). An introduction to artificial intelligence: can computer think?, 4.

უზრუნველყოფა, საძიებო სისტემები, მეტყველების და სახის ამოცნობის სისტემები) ან ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს ჩაშენებული აპარატურულ მოწყობილობებში (მაგალითად, რობოტები ხელოვნური ინტელექტით, უპილოტო მანქანები, დრონები ან ინტერნეტ აპლიკაციები).¹

სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის იდეა ერთდროულად გადაჭარბებულიც არის და არასაკმარისად შეფასებულიც. გადაჭარბებული შეფასება იმაში გამოიხატება, რომ ხელოვნური ინტელექტით სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის გზები აღიქმება ამ პრობლემების წარმოშობასა და გადაჭრაში ადამიანური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. მეორეს მხრივ, ხელოვნური ინტელექტი არასაკმარისად არის შეფასებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება დიდი მონაცემების ასპექტს და მის გავლენას ადამიანის მიერ შექმნილ სოციალურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სტრუქტურებზე.² ამავდროულად, როდესაც საქმე ეხება რევოლუციური ტექნოლოგიების შედეგებს, გადაუდებელია იმის გადაწყვეტა, მოითხოვს თუ არა

¹ Communication from the Commission to the European Parliament, the European Council, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions. Artificial Intelligence for Europe, Brussels, 25.04.2018 COM(2018)237final. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52018DC0237> უკანასკნელად
გადამოწმებულია: [05/01/2026]

² Copeland B.J., (2022). Artificial Intelligence.

განვითარება ახალ სამართლებრივ რეგულირებას. თავად ხელოვნური ინტელექტის პოტენციური აძლიერებს მისი სამართლებრივი რეგულირების გარდაუვალობის შესახებ არგუმენტებს. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი, რომელიც ასოცირდება გაუმჭვირვალე, კომპლექსურ, სავარაუდოდ მიკერძოებულ და სწრაფად ცვალებად ხასიათთან, კარგად არ ურთიერთქმედებს სამართლებრივი დასაბუთებულობის, გამჭვირვალეობის, განმარტებისა და თანაბარი მოპყრობის სამართლებრივ იმპერატივებთან.¹

სამართლებრივი თვალსაზრისით, ევროპულ დონეზე, ხელოვნური ინტელექტის განმარტებასთან დაკავშირებით პირველი ნაბიჯები ევროკავშირის პარლამენტმა გადადგა „რობოტიკის შესახებ სამოქალაქო სამართლის წესების შესახებ“ რეზოლუციის მიღებით.² რეზოლუციაში პარლამენტმა ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია შეიქმნას რობოტიკისა და ხელოვნური ინტელექტის საყოველთაოდ მიღებული განმარტება, რომელიც მოქნილი იქნება და ხელს არ შეუშლის ინოვაციას. ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტში ხელოვნური ინტელექტი განისაზღვრება, როგორც

¹ Danneels, E., (2004). Disruptive technology reconsidered: a critique and research agenda, 247, მითითებულია: Ruschemeier, H, AI as a challenge for legal regulation – the scope of application of the artificial intelligence act proposal, 2023.

² European Parliament resolution of 16 February 2017 with recommendations to the Commission on Civil Law Rules on Robotics.

„პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შემუშავებულია დანართ I-ში ჩამოთვლილი ერთი ან მეტი ტექნიკითა და მიდგომით და შეუძლია, ადამიანის მიერ განსაზღვრული მიზნების მოცემული ნაკრებისთვის, წარმოქმნას ისეთი შედეგები, როგორცაა პროგნოზირება, რეკომენდაციები, ან გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს იმ გარემოზე, რომელთანაც ისინი ურთიერთქმედებენ“.¹

ადამიანის უფლებეთა ეროვნული საკონსულტაციო კომისიის მიერ შემოთავაზებული განმარტება შეესაბამება ხელოვნური ინტელექტის მიზანს სამოქალაქო პროცესში. მათი შეფასებით სამართალწარმოებაში ხელოვნური ინტელექტი არის "მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ალგორითმულ გადაწყვეტილებას ეფუძნება".²

ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ვერ შევხვდებით ხელოვნური ინტელექტის განმარტებას. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე განთავსებულ ნორმატიულ აქტებს შორის ხელოვნური ინტელექტის დანერგვა და განვითარება მოცემულია 2025 და 2026

¹ Chiappini, D., (2024). The Legal Definition of Artificial Intelligence A Comparative Perspective, european journal of comparative law and governance 1–28, 6, ხელმისაწვდომია: https://www.medianama.com/wp-content/uploads/2024/09/Chiappini-Legal-Definition-of-AI-EJCL_2024.pdf

უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

² Inchausti, F., (2025). "Regulating The Use Of AI In Civil Proceedings", Pázmány Law Review, Vol. 12(1), 4, ხელმისაწვდომია: <https://docta.ucm.es/rest/api/core/bitstreams/91a74364-a434-44b5-808d-2cecfdc73d06/content> უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

წლის ბიუჯეტში.¹ ვერ შევხვდებით სხვა ქართულ საკანონმდებლო აქტს, რომელიც ხელოვნური ინტელექტის შესახებ განმარტებას იძლევა.

ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ნათელია, რომ ცნებასთან დაკავშირებით კონსენსუსის არარსებობის გამო, ტერმინ „ხელოვნური ინტელექტის“ მნიშვნელობა კონტექსტუალურია და შესაძლოა განსხვავებულად განისაზღვროს სამართლებრივ ინსტრუმენტებში ან ხელშეკრულებებში.²

- როდესაც ცალკეულ სფეროებს ხელოვნური ინტელექტის რეგულირება სურთ, მათ ჯერ უნდა განსაზღვრონ, თუ რა არის ხელოვნური ინტელექტი. თუმცა, სამართლებრივი განმარტებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა დისციპლინების განმარტებებისაგან. ისინი სამუშაო განმარტებებია. სასამართლოებს უნდა შეეძლოთ ზუსტად განსაზღვრონ, კონკრეტული სისტემა ხელოვნურ ინტელექტად

¹ საქართველოს კანონი საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6701007?publication=0>

უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

საქართველოს კანონი საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6366063?publication=2> უკანასკნელად

გადამოწმებულია: [05/01/2026]

² Moses, B., Lyria, I., (2022). AI Decision-Making and the Courts: A Guide for Judges, Tribunal Members and Court Administrators. Australasian Institute of Judicial Administration.

ითვლება თუ არა. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სახელწოდება "ხელოვნური ინტელექტი" არ შეესაბამება სამართლებრივ საჭიროებებს და გამოყენებულ უნდა იქნას არა ეს ტერმინი, არამედ სუბიექტები უნდა კონცენტრირდნენ კონკრეტულ ქეისებზე, საჭიროებებზე და რისკების მართვის საფუძველზე შეურჩიონ მას შესაბამისი სახელწოდება.¹

- ხელოვნური ინტელექტის სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამოყენების სამართლებრივი ასპექტები

ჯერ კიდევ ხელოვნური ინტელექტის, როგორც ტერმინის განმარტების ეტაპზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირება მისი სამოქალაქო სამართალწარმოებაში იმპლემენტაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ერთია როცა ეროვნულ დონეზე თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტის სამოქალაქო პროცესში გამოყენების შემთხვევებს, ხოლო მეორე როცა საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო ქმნის სახელმძღვანელო პრინციპებსა და მითითებებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის და ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკაში დანერგვის საფუძველი ხდება.

¹ Schuett, J., (2019). A Legal Definition of AI, Goethe University, Frankfurt , 8.

ევროკავშირი ხელოვნური ინტელექტის რეგულირებისადმი სისტემურ მიდგომას იყენებს და ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააძლიერა ამ სფეროში საკანონმდებლო საქმიანობა. ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტი წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის რეგულირების მსოფლიოში პირველ ყოვლისმომცველ სამართლებრივ ჩარჩოს. რეგულაცია წარმოგვიდგენს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას ხელოვნური ინტელექტის სისტემების რეგულირების მიმართ, რომელიც დაფუძნებულია იმ ხარისხის შეფასებაზე, რამდენადაც ხელოვნური ინტელექტი საფრთხეს უქმნის ფუნდამენტურ უფლებებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს. ამის საფუძველზე, ხელოვნური ინტელექტი იყოფა ოთხ კატეგორიად: აკრძალული პრაქტიკა, მაღალი რისკის სისტემები, შეზღუდული რისკის სისტემები და მინიმალური რისკის სისტემები. სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისას გამოსაყენებლად განკუთვნილი ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც მაღალი რისკის სისტემები. ამ კატეგორიაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სისტემის მიერ შეყვანილი მონაცემების ხარისხის, მომხმარებლის მიმართ გამჭვირვალობის, სისტემის გამომავალ მონაცემებზე ადამიანის ზედამხედველობის არსებობისა და მისი ტექნიკური სანდოობისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს

მიერ 2011 წელს გაცემული რეკომენდაციით, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება უნდა იყოს ინსტრუმენტი ან საშუალება მართლმსაჯულების ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად, მომხმარებლისთვის სასამართლო ხელმისაწვდომობის გასამართლებლად და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების გასამდიერებლად. პროცესის გაციფრულება უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულებაზე წვდომას, მიუკერძოებლობას, მოსამართლის დამოუკიდებლობას, სამართლიანობასა და სამართალწარმოების გონივრულ ხანგრძლივობას.¹

ევროპული სამართლის ინსტიტუტის (ELI) განმარტებით, ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტის მიზანია უზრუნველყოს, რომ ხელოვნური ინტელექტი ემსახურებოდეს ადამიანებს, დარჩეს ადამიანის კონტროლის ქვეშ, სარგებლის მომტანი იყოს ინდივიდებისთვის და საზოგადოებისთვის და არ არღვევდეს ფუნდამენტურ უფლებებს ან არ უთხრიდეს ძირს კანონის უზენაესობას და დემოკრატიას.²

¹ Consultative Council Of European Judges (Ccje) Opinion No.(2011)14 Of The CCJE “Justice and information technologies (IT)” Adopted by the CCJE at its 12th plenary meeting (Strasbourg, 7-9 November 2011), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168074816b> უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

² Commission Guidelines on the Application of the Definition of an AI System and the Prohibited AI Practices Established in the AI Act, Response of the European Law Institute, The concept of ‘AI system’ under the new AIAct: Arguing for a Three-Factor Approach, 2024, 8.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სამართალწარმოების მიმდინარეობისას ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ასოცირდება მაღალ რისკოთან. ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტის მე-14 მუხლი სისტემურად არეგულირებს მაღალი რისკის შემცველ ხელოვნური ინტელექტის სისტემებზე ადამიანის ზედამხედველობის მოთხოვნას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილი სისტემის მიმწოდებელს ავალდებულებს შეინარჩუნოს მისი შეჩერებისა და შეწყვეტის ბერკეტი, რათა ზიანი არ მიადგეს მომხმარებელთა უფლებებს. ადამიანის მიერ ზედამხედველობის უზრუნველყოფის ვალდებულება არ არის მხოლოდ ფორმალური ან დამატებითი, არამედ წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის სისტემის კანონიერად გამოყენების აუცილებელ პირობას. რეგულაციის დებულებებში ცალსახად არის ხაზგასმული, რომ ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ადამიანი დარჩეს „მუდმივად პასუხისმგებელი სუბიექტი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე“.¹

ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებლად არსებობს მოსაზრება, რომ ხელოვნური ინტელექტი შეძლებს სასამართლო გადაწყვეტილების გენერირებას დამოუკიდებ-

¹ European Commission. Explanatory Memorandum accompanying the Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council laying down harmonized rules on artificial intelligence (Artificial Intelligence Act), Com(2021) 206 Final, Brussels, 21 April 2021, მითითებულია: Úlehlová, S, Artificial Intelligence In Civil Judicial Proceedings: Legal Boundaries And Practical Challenges, Tlq 4/2025, 541-542

ლად. ამგვარი მოსაზრება მცდარია, რადგან ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტით განსაზღვრული ზედამხედველობის ვალდებულება ტოვებს გენერირებული გადაწყვეტილების ადამიანის მიერ ხელახალი შეფასების, ინტერპრეტაციის ან უარყოფის შესაძლებლობას. ნებისმიერი მიდგომა, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს მიანიჭებს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად გენერირების უფლებამოსილებას წინააღმდეგობაში მოვა ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტის მე-14 მუხლის მოთხოვნებთან. ადამიანის მიერ ზედამხედველობის ასეთი ვალდებულება უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც ინდივიდის სამართლებრივ სფეროში ნებისმიერი ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს.¹

სამოქალაქო სამართალწარმოება დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების არსებობისას მართლმსაჯულების განხორციელებაა. ნიშანდობლივია, გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო გამოცდილება, თუ როგორ აღიქმება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასამართლო სისტემაში. სასამართლო სისტემაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ევროპის ეთიკური ქარტია ადგენს 5 პრინციპს, რომელთან

¹ Judgment of the Constitutional Court, file no. I. ÚS 4093/17, of 29 March 2018, or similarly also the judgment file no. IV. ÚS 3441/11, of 27 March 2012, მითითებულია: Úlehlová, S., (2025). Artificial Intelligence In Civil Judicial Proceedings: Legal Boundaries And Practical Challenges, Tlq 4/2025, 542

შესაბამისობაშიც უნდა მოდიოდეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თითოეული შემთხვევა. 1. ფუნდამენტური უფლებების პატივისცემის პრინციპი: უზრუნველყოს, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები და სერვისების დანერგვა თავსებადი იყოს ფუნდამენტურ უფლებებთან; 2. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი: კონკრეტულად, თავიდან აიცილოს დისკრიმინაციის განვითარება ან გამძლიერება ინდივიდებს ან სოციალურ ჯგუფებს შორის; 3. ხარისხისა და უსაფრთხოების პრინციპი: სასამართლო გადაწყვეტილებებისა და მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით გამოყენებულ უნდა იქნეს სერტიფიცირებული, გადამოწმებადი წყაროები; 4. გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი: მონაცემთა დამუშავების მეთოდები ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს; 5. ადამიანის მიერ ზედამხედველობის პრინციპი.¹

ინგლისმა ხელოვნური ინტელექტის რეგულირების საწყის ეტაპზე უპირატესობა მიანიჭა ე.წ. "soft law" მიდგომას. 2023 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნდა სახელმძღვანელო დოკუმენტი ინსტრუქცია სასამართლოებსა

¹ European Commission For The Efficiency Of Justice (CEPEJ) European Ethical Charter on the Use of Artificial Intelligence in Judicial Systems and their environment, Adopted at the 31st plenary meeting of the CEPEJ (Strasbourg, 3-4 December 2018), Council of Europe, 2019, 5-13. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/ethical-charter-en-for-publication-4-december-2018/16808f699c> უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

და ტრიბუნალებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ,¹ რომლის მიზანი იყო სასამართლოს მხარდაჭერა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პროცესში.²

დოკუმენტი ასახავდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებსა და გამოწვევებს და გვთავაზობდა მათი მინიმიზაციის გზებს, სახელმძღვანელოში აისახა რეკომენდაციების რამდენიმე ძირითადი მიმართულება: 1. ხელოვნური ინტელექტისა და მისი გამოყენების გაგება; 2. კონფიდენციალურობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა; 3. ანგარიშვალდებულებისა და სიზუსტის უზრუნველყოფა; 4. მიკერძოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; 5. უსაფრთხოების დაცვა (მაგ., სამუშაო მოწყობილობებისა და სამუშაო ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენება ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებით საგებლობისას); 6. სასამართლოს მოხელის მიერ პირადი პასუხისმგებლობის აღება: სახელმძღვანელო ახსენებს სასამართლო თანამდებობის

¹ Artificial Intelligence (AI) Guidance for Judicial Office Holders 31 October 2025, ხელმისაწვდომია: <https://www.judiciary.uk/wp-content/uploads/2025/10/Artificial-Intelligence-AI-Guidance-for-Judicial-Office-Holders-2.pdf> უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

² Strong, S., (2025). Artificial Intelligence in Civil Justice Systems: An Empirical and Interdisciplinary Analysis and Proposal for Moving Forward, 41 Ohio State Journal on Dispute Resolution, 6, ხელმისაწვდომია: https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=5239069 უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

პირებს, რომ ისინი პირადად არიან პასუხისმგებელი მათი სახელით წარმოებულ მასალაზე, მაშინაც კი, თუ გამოყენებულ იქნა ხელოვნური ინტელექტის სისტემები. თუმცა, იგი ასევე აღიარებს, რომ გენერაციული ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს „პოტენციურად სასარგებლო მეორადი ინსტრუმენტი“ მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად მოსამზადებელ სამუშაოში.¹ ამავდროულად, სახელმძღვანელო არ იძლევა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რეკომენდაციას სამართლებრივი კვლევისა და ანალიზის ჩასატარებლად.²

ინგლისისგან განსხვავებით ესპანეთმა ე.წ. "Hard Law" მიდგომა გამოიჩინა, პირდაპირ აღიარა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასამართლოს სწრაფი განვითარებისთვის, განასხვავა რა „ავტომატიზებული“, „პროაქტიული“ და „დამხმარე“ ხელოვნური ინტელექტის სისტემები. ესპანეთის კანონმდებლობა განასხვავებს სამართალწარმოების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სამ ფორმას. პირველი მოიცავს ავტომატიზებულ პროცედურულ მოქმედებებს, რომლებიც სრულდება ადამიანის ჩარევის გარეშე და ძირითადად ეხება საქმის ელექტრონულად ადმინისტრირებას (მაგ., დოკუმენტების დანომვრა, ასლებისა შექმნა). მეორე კატეგორიაა პროაქტიული ავტომატური

¹ იქვე, 4-6.

² იქვე, 7.

მოქმედებები, როდესაც სისტემა დამოუკიდებლად, საქმის მონაცემებზე დაყრდნობით, ახორციელებს გარკვეულ მოქმედებებს, მაგალითად შეტყობინების ავტომატურად გაგზავნა მხარისთვის. ასეთი მოქმედებები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იდენტიფიცირებადი და გამჭვირვალეა. ამავდროულად, შესაძლებელი უნდა იყოს იგივე ქმედებების განხორციელება არავტომატიზებული ფორმით. მესამე კატეგორიაა დამხმარე პროცედურული მოქმედებები, როდესაც სისტემა ქმნის რთული დოკუმენტის სრულ ან ნაწილობრივ მონახაზს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძვლად. თუმცა, საბოლოო პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილების ფორმირება კვლავ მოსამართლის პრეროგატივაა.¹

საქართველოს მაგალითზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებს. ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი საკმაოდ ახალი და შეუსწავ-

¹ Real Decreto-ley 6/2023, de 19 de diciembre, por el que se aprueban medidas urgentes para la ejecución del Plan de Recuperación, Transformación y Resiliencia en materia de servicio público de justicia, función pública, régimen local y mecenazgo, Boletín Oficial del Estado 20 December 2023. მითითებულია: Inchausti, F, Regulating The Use Of Ai In Civil Proceedings, Pázmány Law Review XII. 2025, 208, ხელმისაწვდომია: https://ojs.mtak.hu/index.php/pazmany_law_review/article/view/20899/17214 უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

ლელი სისტემაა, არ არის გასაკვირი რომ ეროვნული კანონმდებლობა სამართლებრივად არ აწესრიგებს მისი გამოყენების საფუძვლებს. თუმცა საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობა არ გამორიცხავს პროგრესული მეთოდების, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობას. სამოქალაქო პროცესის მიმდინარეობისას გამოიყენება საქმისწარმოების ელექტრონული პორტალი, ასევე ხდება პროცესის აუდიო ჩაწერა, ყოველივე ეს განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და საერთო სასამართლებობის შესახებ კანონით. თითოეული ელექტრონული ინსტრუმენტი არის მინიმალური საფუძველი, რომელზეც შეიძლება დაემეტოს ხელოვნური ინტელექტის სისტემა. თუმცა მხედველობის მიღმა არ უნდა დაგვრჩეს, რომ ნებისმიერი მოქმედება, თუნდაც პროცესის გაციფრულება, თანხვედრაში უნდა მოდიოდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან და მიზნად უნდა ისახავდეს არა სუბიექტთა უფლებების დარღვევის ხარჯზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, არამედ პროცესის ეფექტურად, კანონიერად და სამართლიანად წარმართვას.

➤ ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკული გამოყენება სამოქალაქო პროცესში

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების ოპტიმიზაციის საშუალება, სასამართლო სტრუქტურებისთვის

ახალ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით მართვა ახალ შესაძლებლობებს ხსნის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად.¹

თანამედროვე პერსპექტივიდან ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობას სამართალწარმოების გაციფრულება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენს. მართლმსაჯულების დიგიტალიზაცია არ გულისხმობს მხოლოდ პირის მიერ ელექტრონული ფორმის გამოყენებით დისტანციური წვდომის გზით სამართალწარმოების დაწყების შესახებ განცხადების შეტანას, არამედ იმ ფაქტსაც მოიცავს, რომ სასამართლოს ყველა, ან თითქმის ყველა შემდგომი ქმედება განხორციელდება ციფრული ფორმით.²

ევროპის საბჭო აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების სისტემაში ხელოვნური ინტელექტის სისტემებს მომავალში შესაძლოა ჰქონდეთ სულ უფრო რთული ამოცანების შესრულების უნარი, როგორცაა დავის

¹ Muzyka, A., Hulyk, A., (2022). Tymchenko, H, Introduction of Information Technologies as the Newest Concept of Optimization of Civil Proceedings, Journal of Information Technology Management, Vol. 14, No.3, 5.

² Sedláček, M., (2024). National Report On Automation In Decision-Making In Civil Procedure In The Czech Republic, Acta Universitatis Carolinae – Iuridica 2, 160,

ხელმისაწვდომია: https://karolinum.cz/data/clanek/12652/Iurid_70_2_0159.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

საგანზე ინფორმაციის ანალიზი, სტრუქტურირება და მომზადება, ზეპირი მოსმენების ჩანაწერების ავტომატური ტრანსკრიფცია, მანქანური თარგმანის შეთავაზება, სამართლებრივი დოკუმენტების და სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზისა და შეფასების უნარი, სარჩელის წარმატების შანსების შეფასება, სასამართლო გადაწყვეტილების ავტომატური ანონიმიზაცია.¹

სასამართლო სისტემაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობები შეიძლება დაიყოს რამდენიმე კატეგორიად, შესაბამისი ტექნოლოგიების ბუნებისა და დანიშნულების მიხედვით. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ე.წ. დამხმარე ინსტრუმენტები, რომლებიც განკუთვნილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლის მხარდასაჭერად და არა მისი ჩანაცვლებისთვის. ასეთია, მაგალითად, სისტემები, რომლებიც ახდენენ სასამართლო პრაქტიკის ანალიზს.

მეორე კატეგორიაა სისტემა, რომელიც ახდენს გადაწყვეტილების შედეგის პროგნოზირებას. იგი ეყრდნობა წარსული გადაწყვეტილებების ფართო მონაცემთა ბაზას და იქმნება მოდელი, რომლებსაც შეუძლიათ კონკრეტული დავის სავარაუდო შედეგის

¹ Council of the European Union Conclusions ‘Access to Justice – Seizing the Opportunities of Digitalisation’ 2020/C 342 I/01, OJ C 342I, 2020, pp. 1–7, მოთითებულია: Strikaitė-Latušinskaja, G, How Technology and AI Are Transforming Access to Justice, Social Sciences, Law (S 001), VILNIUS UNIVERSITY, 2025, 105.

შეფასება. თუმცა, მათი გამოყენება ზადებს კითხვებს გადაწყვეტილების მიღების ფორმალიზაციის რისკთან დაკავშირებით და ქმნის იმის საფრთხეს, რომ მოსამართლე შეიძლება შინაგანად იყოს მოტივირებული, მიჰყვეს სავარაუდო შედეგს კონკრეტული საქმის ინდივიდუალურად შეფასების ნაცვლად.¹

ასევე არსებობს გადაწყვეტილებების პროექტების ავტომატიზებული გენერირების სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის პროექტის შექმნა. პროგნოზირებადი ანალიზი, არის მონაცემთა ანალიზის სახეობა და გულისხმობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით მომავალში გარკვეული მოვლენების ალბათობის პროგნოზირებას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ამ გზას შეუძლია მნიშვნელოვნად გაამარტივოს სასამართლოების პროცედურული საქმიანობა, განსაკუთრებით, მარტივ საქმეებში. ეს, პირველ რიგში, ეხება დავებს, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელია ზეპირი მოსმენის გარეშე.²

ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტის

¹ Yeung, K, Algorithmic Regulation: A Critical Interrogation. Regulation & Governance. 2018, მითითებულია: Úlehlová, S., (2025). Artificial Intelligence In Civil Judicial Proceedings: Legal Boundaries And Practical Challenges, Tlq 4/2025, 544.

² Cofone, Ignacio N., (2021). AI and Judicial Decision-Making. In: Florian Martin-Bartea – Teresa Scassa (eds.). Artificial Intelligence and the Law in Canada. Toronto: LexisNexis, მითითებულია: Úlehlová, S., (2025). Artificial Intelligence In Civil Judicial Proceedings: Legal Boundaries And Practical Challenges, Tlq 4/2025, 542

პოტენციური სასამართლო სისტემაში ყველაზე თვალსაჩინო შესაძლოა იყოს სასამართლო ადმინისტრირების სფეროში. ხელოვნური ინტელექტს შეუძლია გაამართივოს რუტინული პროცედურები, როგორებიცაა საქმეთა განაწილება, სხდომათა დანიშვნა, მხარეთა ინფორმირება და მათთან კომუნიკაცია მაგ: ChatBot-ის მეშვეობით. მსგავსი ინსტრუმენტები არის მხოლოდ დამხმარე საშუალებები და რეალურად არ უნდა აისახოს საქმის არსებით შედეგზე.

ხელოვნური ინტელექტი ასევე აქტიურად გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში. კერძოდ, გერმანიის სასამართლო სისტემა იყენებს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს სამართლებრივი დოკუმენტების გასაანალიზებლად და სასამართლო საქმეების შედეგების პროგნოზირებისათვის. ეს ტექნოლოგიები ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების სიჩქარისა და სიზუსტის გაზრდას, განსაკუთრებით რთულ სახელშეკრულებო დავებში.¹

ესპანეთის სასამართლო სისტემა აქტიურად ნერგავს ხელოვნურ ინტელექტს საქმის წარმოებისა და სამართლებრივი კვლევის ოპტიმიზაციის მიზნით. კერძოდ, ესპანეთის იუსტიციის გენერალურმა საბჭომ დანერგა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც

¹ Hösch, A., Schrader, M., Zickert, G., (2025). The evolving role of AI in German dispute resolution.

გამოიყენება დიდი მოცულობის სამართლებრივი ტექსტების ავტომატიზებული ანალიზისა და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის იდენტიფიცირებისთვის. აღნიშნული ტექნოლოგიური გადაწყვეტა მნიშვნელოვნად ამარტივებს და აჩქარებს სამართლებრივ ანალიზს რთულ სამოქალაქო საქმეებში, განსაკუთრებით ქონებრივ დავებში.¹

საინტერესოა საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული "DataJust" პროექტი, რომლის მიზანი იყო ალგორითმზე დაფუძნებული სისტემის შექმნა, რომელსაც შეუძლია ავტომატიზებული გზით ამოიღოს და გამოიყენოს ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებში მოცემული მონაცემები, მათ შორის მოთხოვნილი და საბოლოოდ მიღებული თანხები და დავის გადაწყვეტის ფარგლებში გაკეთებული შეფასებები.²

2009 წელს ევროკავშირმა მიიღო დიგიტალიზაციის შესახებ პირველი ოფიციალური ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა. მნიშვნელოვანია, რომ ამ გეგმის ფარგლებში ევროკავშირის კომისიამ ციფრული თანამშრომ-

¹ Petrovskiy, A., Kyrndan, B., Kutsyk, K., (2025). Implementation of artificial intelligence in civil proceedings: Experience of EU countries. Scientific Journal of the National Academy of Internal Affairs, 30(1), 54-55.

² Inchausti, F., (2025). Regulating The Use Of Ai In Civil Proceedings, Pázmány Law Review XII. 191, ხელმისაწვდომია:

https://ojs.mtak.hu/index.php/pazmany_law_review/article/view/20899/17214

უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

ლობის გასაძლიერებლად საპილოტე პროექტების დაფინანსება დაიწყო. ამ მხრივ, ე.წ. e-CODEX პროექტი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. თავდაპირველად, რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და (ფინანსურად) ევროკავშირის კომისიის მიერ მხარდაჭერილი, ის საბოლოოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა შიდა IT სისტემების ურთიერთდაკავშირების ტექნიკურ გადაწყვეტად იქცა. e-CODEX სისტემა დეცენტრალიზებული, დაცული საკომუნიკაციო სისტემაა. ის შედგება რამდენიმე პროგრამული ინსტრუმენტისგან, რომელიც მიზნად ისახავს ე.წ. „უსაფრთხო კომუნიკაციისთვის წვდომის წერტილების“ შექმნას. e-CODEX-ის გამოყენებით წვდომის წერტილებს შეუძლიათ სხვა წვდომის წერტილებთან ინტერნეტით კომუნიკაცია საერთო პროტოკოლების ნაკრების მეშვეობით, ცენტრალური სისტემის ჩართვის გარეშე. თითოეული წვდომის წერტილი შეიძლება დაკავშირებული იყოს ეროვნულ საქმეთა მართვის სისტემასთან, რათა შესაძლო იყოს დოკუმენტების უსაფრთხოდ გაცვლა სხვა მსგავს სისტემებთან. როგორც ჩანს, ამჟამად არცერთი სხვა კონკურენტი IT სისტემა არ მუშაობს იმავე სიმწიფის ხარისხით. შედეგად, ევროკავშირმა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ევროკავშირის კომისიამ აიღო ლიდერობა სამოქალაქო პროცედურების უსაზღვრო დიგიტალი-

ზაციის საკითხში.¹

ხელოვნური ინტელექტის თვალსაჩინო გამოყენების მაგალითია ტრანსკრიფციის სისტემა, რომელიც სხდომაზე გაჟღერებულ განცხადებებს წერილობით დოკუმენტად აქცევს. მსგავსი სისტემა მოქმედებს უნგრეთსა და ესტონეთში. ასევე თურქეთი ცდილობს დაწეროს ტრანსკრიფციის პროგრამა ციფრული საქმისწარმოების სისტემა UYAP-ში.²

მართლმსაჯულების სისტემაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვისთვის ქმედითი ნაბიჯები გადადგა ესტონეთმა. სასამართლოს განვითარების გეგმა 2024-2030-ში, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ხელოვნური ინტელექტის დანერგვა და სამართალწარმოების ავტომატიზაცია ჩაანაცვლებს არსებულ ტექნიკურ სამუშაო პროცესებს (მაგ. თარგმანი, სამართალწარმოების მხარეების იდენტიფიცირება). ამავდროულად, გეგმა აღნიშნავს, რომ -ხელოვნური ინტელექტის დანერგვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საქმისწარმოების დაწყება მარტივი ელექტრონული შესავსები

¹ Cf. the description of e-Codex by the EU Commission, COM(2020) 710 final, 5. მოითხოვს: Hess, H, Digitalization Of Civil Procedure And Ai: The European Perspective, Pázmány Law Review XII. 2025. • 214-216

² Selçuk, S., Konca, N., Kaya, S., (2025). AI-driven civil litigation: Navigating the right to a fair trial, Computer Law & Security Review: The International Journal of Technology Law and Practice, 2, https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2212473X25000094#bcit_15
უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

ფორმით ოფიციალური საინფორმაციო სისტემის მეშვეობით (მაგ. ალიმენტის შესახებ სარჩელები). საინფორმაციო სისტემა ხელს შეუწყობს ე.წ. სარჩელის წარდგენას კითხვების საშუალებით.¹

კანადის ადვოკატთა ასოციაცია განმარტავს, რომ ადვოკატები დროის დიდ ნაწილს დოკუმენტების შედგენაში ხარჯავენ. არსებობს დროის დაზოგვის შესაძლებლობები დოკუმენტების შედგენისთვის ხელოვნური ინტელექტის/ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით. საიმედო, გენერაციული ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ინსტრუმენტის დახმარებით, იურისტებს შეუძლიათ ზოგიერთი დავალების ავტომატიზაცია და პროექტების შექმნა წარმოუდგენელი ეფექტურობით, რაც მეტ დროს აძლევს სტრატეგიის შემუშავებისა და იურიდიული მომსახურების გაწევის ხარისხის გაზრდისთვის. მაგალითად, ზოგიერთი გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი განიხილავს და შემოგთავაზებთ ხელშეკრულებების ენას, გადახედავს გამორჩენილ პუნქტებს და იპოვის წინააღმდეგობრივ დებულებებს. ამავდროულად, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია იურისტის რუტინული საქმიანობის

¹Estonian Court 2030, Court Development Plan 2024–2030, 11, ხელმისაწვდომია:

https://www.kohus.ee/sites/default/files/inline-files/Court%20Development%20Plan_Estonian%20Courts_English.pdf

უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

შესრულება, როგორცაა, მარტივ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.¹

როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნური ინტელექტის ცნება საკმაოდ ზოგადია და ძალიან ბევრ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს მოიცავს. ერთ-ერთი არის ე.წ. "Predictive Coding" სისტემა. Predictive Coding არის ხელოვნურ ინტელექტზე და მანქანურ სწავლებაზე დაფუძნებული მეთოდი, რომელიც გამოიყენება სამოქალაქო სამართალწარმოებაში დიდი მოცულობის დოკუმენტების სწრაფად და ეფექტურად დასამუშავებლად. იგი ელექტრონული მტკიცებულებების (e-discovery) ანალიზის მეთოდი. პროცესის მიმდინარეობისას კომპიუტერული ალგორითმი სწავლობს იურისტის მიერ წინასწარ მონიშნულ დოკუმენტებს და ავტომატურად პროგნოზირებს, რომელი დოკუმენტებია: საქმისთვის რელევანტური, არარელევანტური ან საჭიროებს დამატებით ადამიანის მიერ შემოწმებას. სისტემა ეფუძნება სტატისტიკურ მოდელებსა და მანქანურ სწავლებას, და არა უბრალო საკვანძო სიტყვების ძიებას.²

¹CBA, Use of AI in Legal Practice: An Overview, ხელმისაწვდომია: <https://cba.org/resources/practice-tools/ethics-of-artificial-intelligence-for-the-legal-practitioner/2-use-of-ai-in-legal-practice-an-overview/> უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

² Bell, F., Moses, L., Legg, M., Silove, J., Zalnieriute, M., (2022). AI Decision-Making and the Courts A guide for Judges, Tribunal Members and Court Administrators, The Australasian Institute of Judicial Administration Incorporated, 15.

საქმე "Da Silva Moore v. Publicis Groupe No. 11-1279, 2012 WL 607412 (S.D.N.Y. Feb. 24, 2012" არის მნიშვნელოვანი პრეცედენდი სამოქალაქო სამართალ-წარმოებაში, რადგან იგი პირველი სასამართლო გადაწყვეტილებაა, რომელმაც პირდაპირ და მკაფიოდ დაადასტურა Predictive Coding-ის გამოყენების შესაძლებლობა ელექტრონული მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში. საქმე განიხილებოდა აშშ-ის ნიუ-იორკის სამხრეთ ოლქის ფედერალურ სასამართლოში 2012 წელს და შეეხებოდა შრომით დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავას, რომლის ფარგლებშიც საჭირო იყო მილიონობით ელექტრონული დოკუმენტის (ელფოსტა, შიდა კომუნიკაცია, ციფრული ფაილები) მიმოხილვა. მოსამართლე ენდრიუ პეკმა დაადგინა, რომ ტრადიციული გზით მტკიცებულებათა გამოკვლევა არც სიზუსტით და არც ეფექტიანობით არ არის უპირატესი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მასშტაბურ მონაცემებს, ხოლო Predictive Coding სათანადო ადამიანური კონტროლის, გამჭვირვალობისა და ხარისხის შემოწმების პირობებში, წარმოადგენს „საკმარისად სანდო“ მეთოდს სამოქალაქო პროცესისთვის. სასამართლომ ხაზი გაუსვა პროპორციულობის პრინციპს და აღნიშნა, რომ სამართლიანი სამართალწარმოების მოთხოვნა არ ნიშნავს ყველა დოკუმენტის წაკითხვას, არამედ გულისხმობს ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მხარეთა

უფლებების დაცვას, ისე პროცესის გონივრულ ვადებსა და ხარჯების შემცირებას.

Predictive Coding-ის გამოყენების საკითხი, ზემოხსენებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, კვლავ წამოიჭრა ვირჯინიის სასამართლოს წინაშე "Global Aerospace Inc. v Landow Aviation" საქმეში. მოპასუხეები ითხოვდნენ ამ სისტემის გამოყენებას, თუმცა მოსარჩელები ეწინააღმდეგებოდნენ პროგნოზირებადი კოდირების გამოყენებას და მას აღწერდნენ, როგორც „დოკუმენტების ადამიანის მიერ განხილვის სტანდარტული პრაქტიკიდან რადიკალურ გადახვევას“. თუმცა სასამართლომ მიიღო მოპასუხეთა პოზიცია და გასცა თანხმობა Predictive Coding-ის გამოყენებაზე.¹

დიდ ბრიტანეთში მსგავსი პრეცედენტი 2016 წელს განხორციელდა საქმეში "Pyrrho Investments Limited v MWB Property Limited". ამ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ Predictive Coding არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რადგან საბოლოო პასუხისმგებლობა მტკიცებულებების შეფასებაზე კვლავ ადამიანებს ეკისრებათ, ხოლო ალგორითმი მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტს წარმოადგენს.²

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელოვნური ინტელექ-

¹ Christian, G., (2020). Predictive Coding: Adopting And Adapting Artificial Intelligence In Civil Litigation, University of Calgary, 499-503, ხელმისაწვდომია: https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3530039 უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

² იქვე, 503-507

ტის სამართალწარმოებაში დანერგვას საკმაოდ დიდი ფინანსები ესაჭიროება. საქართველოს 2026 წლის ბიუჯეტით, გათვალისწინებულია ხელოვნური ინტელექტის დანერგვა შემდეგ სფეროებში: "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის, სახელმწიფოს მიერ დასაღები ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზის, საერთაშორისო სასამართლოებსა და არბიტრაჟებში საქმისწარმოების წარმართვის ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მომხმარებელთათვის გამართივებული სერვისების მიწოდების მიზნით დაგეგმილია ხელოვნური ინტელექტის სისტემების დანერგვა და გამოყენება. გარდა ამისა, ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული მსოფლიო ტენდენციების შესწავლის, ანალიზის, საქართველოს კანონმდებლობის ციფრულ სტანდარტებთან ადაპტირებისთვის საჭირო დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის ბაზაზე შეიქმნება ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი კვლევის ცენტრი."¹ აღნიშნულ ჩამონათვალში, სამწუხაროდ ვერ ვხდებით ეროვნულ სასა-

¹ საქართველოს კანონი საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6701007?publication=0>

უკანასკნელად გადამოწმებულია: [05/01/2026]

მართლოებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მიზანს, თუმცა შემოთავაზებული ჩანაწერი, პირველ რიგში, ორიენტირებულია კანონმდებლობის სრულყოფისკენ, რათა შესაბამისობაში მოდიოდეს ციფრულ სტანდარტებთან. ვიმედოვნოთ, რომ კანონმდებლობის დახვეწის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების შემდგომ დაიგეგმება პრაქტიკული, ქმედითი ნაბიჯები ხელოვნური ინტელექტის სამართალწარმოებაში დანერგვისთვის, სულ მცირე სასამართლოს ადმინისტრირების სფეროში.

სამართალწარმოების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დაჩქარების, ხარჯებისა და დროის შემცირების სასარგებლოდ მრავალი არგუმენტის მიუხედავად, არსებობს მრავალი ეჭვი და რისკი. სასამართლო სისტემაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემაა ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამჭვირვალობის ნაკლებობა, ე.წ. „შავი ყუთის ეფექტი“. რისკს წარმოადგენს მოსამართლეთა კვალიფიკაციის არქონა ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების მუშაობის პრინციპთან მიმართებით და სასამართლოების მიერ ხელოვნური ინტელექტზე სრული კონტროლის მოპოვების შეუძლებლობა.¹

¹ Studzińska, J., (2024). Artificial Intelligence in Civil Procedure in Europe - Some Perspectives, Electronics, Communications and Networks A.J. Tallón-Ballesteros (Ed.), 448.

4. Valeri Modebadze (2022) The age of artificial Intelligence: How The Artificial Intelligence Affects the Modern Society. “Towards a Better Future: Visions of Justice, Equality, and Politic” - International Scientific Conference Proceedings. Publisher: Faculty of Law - Kicevo, University “St. Kliment Ohridski” – Bitola, Center for Scientific Research at the Faculty of Law – Kicevo. Republic of North Macedonia. ISBN 608-4670-23-7 978-608-4670-23-0 9786084670230.

5. Valeri Modebadze (2025) Harnessing Collective Efforts for the Legal Regulation of Artificial Intelligence, Proceedings of International Scientific-Practical Conference “State Sovereignty and National Constitutions in 21st Century: Global Challenges, Trends, and Prospects” held within framework of 2025: The Year of Constitution and Sovereignty 5 November 2025 | Baku, Azerbaijan.

ხელოვნური ინტელექტი, როგორც პოტენციური დამნაშავე, ამსრულებლისა და თანამონაწილეობის პრობლემატური ასპექტები

*მურადაშვილი ვახტანგი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის ავილირებული ასისტენტი,
ელ.ფოსტა : muradashvilivakhtang07@gtu.ge*

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება თანამედროვე იურისპრუდენციის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და აქტუალურ საკითხს - ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ პოტენციურად განხორციელებულ ან სამომავლოდ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციასა და პასუხისმგებლობის სუბიექტის იდენტიფიცირებას. ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მეტ ავტონომიურობას იძენენ, რაც წარმოშობს პასუხისმგებლობის ვაკუუმურ მდგომარეობას, როდესაც ზიანი სახეზეა, თუმცა ტრადიციული სამართლებრივი დოგმატიკა ვერ პოულობს შესაბამის ბრალუნარიან სუბიექტს.

ნაშრომში გაანალიზებულია სისხლის სამართლის

ფუნდამენტური პრინციპების თავსებადობა ალგორით-
მულ გადაწყვეტილებებთან. განსაკუთრებული ყურად-
ღება ეთმობა ბრალის ელემენტს და ე.წ. „შავი ყუთის“
ეფექტს, რომელიც ართულებს მიზეზობრივი კავშირის
დადგენას, პროგრამულ კოდსა და დამდგარ შედეგს
შორის.

სტატიაში განხილულია პასუხისმგებლობის დელე-
გირების სხვადასხვა მოდელები: ხელოვნური ინტე-
ლექტი, როგორც დანაშაულის იარაღი, მწარმოებლისა
და მომხმარებლის პასუხისმგებლობის ფარგლები და
„ელექტრონული პირის“ სტატუსის მინიჭების
თეორიული პერსპექტივები.

კვლევის მიზანია გამოკვეთოს ის საკანონმდებლო
გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას თანამედროვე
მართლმსაჯულება და შემოგთავაზოთ რეკომენდაციები
სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ტრანსფორმა-
ციისთვის, რათა სამართალმა შეძლოს ტექნოლოგიური
პროგრესის თანმდევი რისკების ეფექტიანი რეგუ-
ლირება.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი,
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სუბიექტი,
ბრალი, ავტონომიური სისტემები, ელექტრონული
პირი, პასუხისმგებლობის ვაკუუმი.

შესავალი

კაცობრიობის ტექნოლოგიურმა განვითარებამ ისეთ

სიმაღლებს მიაღწია, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც ჩვეულებრივი მოვლენა იქნება და ყველა ფეხის ნაბიჯზე შევხვდებით, ადამიანის მსგავს ანდროიდებსა თუ რობოტებს. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია სამართლის თანამედროვე გამოწვევებისათვის მზაობა. ხელოვნური ინტელექტისა (შემდგომში-ხ.ი.) და სისხლის სამართლის კვეთა დღეს მსოფლიო იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური და საინტერესო თემაა, ამასთან მნიშვნელოვანი გამოწვევაც.

ტექნოლოგიური პროგრესი და სამართლებრივი რეალობა თანამედროვე ეპოქაში ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ ძირეულად შეცვალა. ამასთანავე, იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობების არქიტექტურაც. აღსანიშნავია, რომ ალგორითმული სისტემები აღარ წარმოადგენენ მხოლოდ, ადამიანის ხელში არსებულ სტატიკურ, ინსტრუმენტებს. არამედ, მათ შეიძინეს ავტონომიურობის ისეთი ხარისხი, რომელიც საშუალებას აძლევთ მიიღონ გადაწყვეტილებები და განახორციელონ ქმედებები ადამიანის პირდაპირი ჩარევის გარეშეც კი. აღნიშნული ტექნოლოგიური ნახტომი სერიოზული გამოწვევის წინაშე აყენებს სისხლის სამართლის ტრადიციულ დოგმატიკას, რომელიც ისტორიულად ანთროპოცენტრულია და ეფუძნება პრინციპს - *nullum crimen sine culpa* (არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე). საკითხის აქტუალობას

განაპირობებს ე.წ. „პასუხისმგებლობის ვაკუუმი“, სადაც ხელოვნური ინტელექტის მიერ მიყენებული ზიანი, შესაძლოა ვერ მიეწეროს ვერც მის შემქმნელს და ვერც მომხმარებელს, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებისათვის მიუღებელ მოცემულობას ქმნის.

I. სისხლისსამართლებრივი სუბიექტის კლასიკური გაგება და ხელოვნური ინტელექტი

სისხლის სამართლში, დანაშაულის სუბიექტი ძირითადად არის ფიზიკური პირი, რიგ შემთხვევებში კი იურიდიული პირიც. სუბიექტის ბრალუნარიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ კუმულაციურად სახეზე გვქონდეს შერაცხადობის ორივე ელემენტი. ესენია შერაცხადობა ასაკისა და ფსიქიკური მდგომარეობის გამო. შერაცხადობა, თავის მხრივ, გულისხმობს პირის უნარს, გააცნობიეროს თავისი ქმედების მნიშვნელობა და მართოს იგი. ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში, ჩვენ ვაწყდებით შემდეგ წინააღმდეგობებს, როგორებიცაა:

1. ნებელობითი ელემენტის არარსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ხ.ი-ს შეუძლია „არჩევანის“ გაკეთება მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, ეს არ არის ნამდვილი თავისუფალი ნების გამოვლინება, ფილოსოფიური და სამართლებრივი გაგებით. მისი ქმედება წინასწარ განსაზღვრული ალგორითმული ლოგიკის შედეგია.

2. ბრალის (Mens Rea) პრობლემა. სისხლისსამარ-

თლებრივი ბრალი, მოითხოვს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისადმი. ანუ პირს უნდა ჰქონდეს ჩადენილი დანაშაული პირდაპირი, არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობლობის ერთ-ერთი ფორმით თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. გამომდინარე იქიდან, რომ ჯერჯერობით მანქანას არ გააჩნია ფსიქიკა, შესაბამისად, შეუძლებელია მასზე კლასიკური გაგებით „ბრალის“ გავრცელება.

3. დასჯადობის მიზანი. სისხლისსამართლებრივი სასჯელის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და დანაშაულის პრევენცია. ტრადიციული სასჯელი (მაგ. თავისუფლების აღკვეთა) სრულიად აზრს მოკლებულია არაბიოლოგიური სუბიექტის მიმართ.

ხელოვნური ინტელექტის ავტონომიურობის ზრდასთან ერთად, იურიდიულ ლიტერატურაში აქტიურად განიხილება პასუხისმგებლობის დელეგირების საკითხი. გაბრიელ ჰალევი გვთავაზობს სამ სამართლებრივ მოდელს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ხ.ი-ის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასება. პირველია „შუალობითი ამსრულებლის“ მოდელი, სადაც ხ.ი. განიხილება, როგორც უსულო იარაღი ადამიანის ხელში (Hallevy, 2013). თუმცა, როდესაც სისტემა იღებს გაუთვალისწინებელ გადაწყვეტილებას, ეს მოდელი არაეფექტური ხდება. აქ ვხვდებით ე.წ. „შავი

ყუთის“ პრობლემას. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ალგორითმის მიერ მიღებული საბოლოო შედეგი (მაგალითად, ზიანის მიყენება) ლოგიკურად გამომდინარეობს მონაცემებიდან, თუმცა თავად პროცესი იმდენად კომპლექსურია, რომ ადამიანისთვის (მათ შორის პროგრამისტისთვისაც კი) შეუძლებელია იმის წინასწარჭვრეტა, თუ კონკრეტულად რა გზით მივიდა მანქანა ასეთ შედეგამდე (Pagallo, 2013).

II. „ელექტრონული პირის“ სტატუსი და სამართლებრივი პერსპექტივები

ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური და ინოვაციური მიდგომა ხელოვნური ინტელექტისათვის სპეციალური სამართლებრივი სტატუსის, კერძოდ, „ელექტრონული პირის“ მინიჭებაა. აღნიშნული იდეა პოპულარული გახდა, ევროპარლამენტის 2017 წლის რეზოლუციის მიღების შემდეგ, რომელიც რობოტიკის სამოქალაქო სამართლებრივ რეგულირებას ეხებოდა (European Parliament, 2017). სისხლის სამართლის კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ ხ.ი. შესაძლოა დაემსგავსოს იურიდიულ პირს - მას ექნება პასუხისმგებლობის საკუთარი არეალი, ხოლო „სასჯელი“ შესაძლოა გამოიხატოს სისტემის დეაქტივაციაში, კოდის მოდიფიკაციაში ან ფულად სანქციებში (თუკი მას ექნება საკუთარი კაპიტალი) (Abbott, 2020).

ხელოვნური ინტელექტის მიერ ჩადენილი ქმედების

სამართლებრივი შეფასებისას, უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ სად გადის ზღვარი „ტექნიკურ ხარვეზსა“ და „დანაშაულებრივ ქმედებას“ შორის.

1. მწარმოებლის პასუხისმგებლობა - თუ ხ.ი-ს სისტემა ზიანს აყენებს პირს, მისი არასწორი დაპროგრამების გამო, პასუხისმგებლობა როგორც წესი, მწარმოებელს ეკისრება. თუმცა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საჭიროა, დადგინდეს დანაშაულებრივი თვითიმედოვნება ან გაუფრთხილებლობა. მაგალითად: თუ მწარმოებელმა იცოდა, ალგორითმში არსებული კრიტიკული ხარვეზის შესახებ და მაინც ჩაუშვა სისტემა ექსპლუატაციაში, სახეზეა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული (Vladeck, 2014).

2. მომხმარებლის პასუხისმგებლობა - მომხმარებელი პასუხისმგებელია მაშინ, როდესაც ის ხ.ი-ს იყენებს, როგორც ინსტრუმენტს. მაგალითად, თუ პირი გამოიყენებს ავტონომიურ დრონს განზრახ მკვლელობისთვის, აქ სამართლებრივი ბუნდოვანება არ არსებობს - ხ.ი. მხოლოდ დანაშაულის იარაღია (Heller, 2016). სირთულე იწყება მაშინ, როდესაც მომხმარებელი არღვევს უსაფრთხოების წესებს (მაგ. ავტოპილოტის მართვისას ყურადღების მოდუნება).

3. ავტონომიური „ბრალი“ და ალგორითმიული გაუკონტროლებლობა - ყველაზე რთული შემთხვევაა, როდესაც არც მწარმოებელს და არც მომხმარებელს,

ბრალი არ მიუძღვით, მაგრამ ხ.ი-მა, თვითსწავლებადი ფუნქციიდან გამომდინარე, განავითარა ისეთი ქცევა, რომელმაც სისხლისსამართლებრივი ზიანი გამოიწვია. იოჰანეს ტიგი მიუთითებს, რომ ამ დროს იქმნება „სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხვრელი“, რადგან ტრადიციული ბრალის პრინციპი ვერ ერგება მოცემულობას (Thyghе, 2019). ამ შემთხვევაში, ზოგიერთი მკვლევარი (Karnow, 2021) ემხრობა ობიექტური შერაცხვის პრინციპის გაფართოებას, რაც გულისხმობს პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირზე, ვინც აკონტროლებს რისკის წყაროს.

III. ალგორითმული „ბრალი“ და ხელოვნური ინტელექტი, როგორც დანაშაულის ამსრულებელი

სისხლის სამართლის კლასიკური გაგებით, ბრალი არის პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს ღრმა სწავლების ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ სისტემებთან, ფსიქოლოგიური კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის წყდება.

„შავი ყუთის“ იურიდიული დილემა და მიზეზობრიობა თანამედროვე ხ.ი-ის სისტემები ხშირად იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელთა ლოგიკური ალგორითმული ჯაჭვი, ანუ „აზროვნება“, მიუწვდომელია ადამიანის გონებისთვის. სამართლებრივად ეს ნიშნავს, რომ ირღვევა ობიექტური შერაცხვის პრინციპი. თუ

მწარმოებელმა ვერ განჭვრიტა ხ.ი-ის მიერ მიღებული კონკრეტული მავნე გადაწყვეტილება, მას ვერ დაეკისრება განზრახი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა. მართებული იქნება, რომ ამ დროს ყურადღება გადავიტანოთ პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტებსა და გამოყენების წესების დაცვაზე. თუკი ხ.ი. დაარღვევს „უსაფრთხოების ნორმატიულ მოლოდინს“, ასეთ შემთხვევაში კი - სახეზე გვექნება ნორმატიული ბრალი (Hilgendorf, 2018).

რაც შეეხება, თანამონაწილეობის სპეციფიკურ ფორმებს, უნდა განვიხილოთ „ალგორითმული წაქეზების“ შემთხვევა, როდესაც ხ.ი-ის სისტემა მაგ. სოციალური ქსელის ალგორითმი ზემოქმედებს პირზე, ხდის მას მეტად რადიკალურს და უბიძგებს მას დანაშაულის ჩადენისკენ. საკითხავია, იქნება თუ არა ალგორითმი წამქეზებელი? მნიშვნელოვანია განვმარტოთ, რომ წაქეზება მოითხოვს პირდაპირ განზრახვას სხვისი ნების ფორმირებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ ჯერჯერობით ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია და ვერც ექნება „ბოროტი ნება“ (Animus Malus), იგი ვერ იქნება წამქეზებელი ტრადიციული გაგებით. თუმცა, შესაძლებელია ის განვიხილოთ, როგორც „კვაზი-წამქეზებელი“. აღნიშნული კი, წარმოშობს მისი შემქმნელის პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ მან დაუშვა სისტემის ამგვარი განვითარება (Koops, B. J. 2019).

საინტერესო საკითხია, შეუძლია თუ არა ხელოვნურ

ინტელექტს „წინასწარი შეცნობა“ და „მომზადება“?! იმ შემთხვევაში, თუ ხ.ი-ის სისტემამ დამოუკიდებლად „დაასკვნა“, რომ მიზნის მისაღწევად (მაგ. მოგების მაქსიმიზაცია) საჭიროა კანონდარღვევა (მაგ. კონკურენტის მონაცემების მოპარვა), სახეზეა „ალგორითმული წინასწარგანზრახვა“. აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს პასუხისმგებლობის გადაკისრება ადამიანზე, რომელმაც უბრალოდ „ჩართო“ მანქანა, არღვევს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს ფართო გაგებით, ხოლო ვიწრო გაგებით ირღვევა ინდივიდუალურ ბრალზე დაფუძნებული მართლმსაჯულების განხორციელება. მოცემულ შემთხვევაში, განზრახი დანაშაულის ჩადენაზე მსჯელობა არ იქნება მართებული. ხოლო, თუკი მანქანის ჩამრთველ პირს შესაძლებლობა ექნებოდა ევარაუდა მსგავსი შემთხვევა, შეგვიძლია ვისაუბროთ მის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულზე. აგრეთვე შესაძლებელია, „კორპორაციული პასუხისმგებლობის“ მოდელის გადმოტანა ხ.ი-ზე. შესაბამისად, პასუხს აგებს არა ფიზიკური პირი, არამედ სისტემა, როგორც იურიდიული ერთეული (Koppinski, 2020).

სისხლისსამართლებრივი დოგმატიკისათვის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს იმ ზღვარის დადგენა, თუ როდის არის ხელოვნური ინტელექტი მხოლოდ „დანაშაულის იარაღი“ და როდის შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ამსრულებელი“?!

თუ დავუშვებთ, რომ ხელოვნური ინტელექტი დამოუკიდებლად ახდენს სამიზნის იდენტიფიცირებას, ახორციელებს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას მაგალითად: ავტონომიური საფინანსო ალგორითმი, რომელიც ახორციელებს ბაზრის მანიპულაციას, ჩნდება კითხვა, შეგვიძლია თუ არა ასეთ შემთხვევებში ვისაუბროთ უშუალო ამსრულებლობაზე? მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ მანქანას ექნება „ფაქტობრივი ბატონობა“ ქმედებაზე, ის ფუნქციურად ამსრულებელია, თუნდაც მას არ ჰქონდეს ადამიანური ცნობიერება (Hildebrandt, M. 2016).

IV. ხელოვნური ინტელექტი დანაშაულის თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის პრობლემა

საკითხი იმის შესახებ, ხელოვნური ინტელექტი არის „იარაღი“ თუ „ავტონომიური აგენტი“, წყვეტს პასუხისმგებლობის მთელ ჯაჭვს. ტრადიციულად, შუალობითი ამსრულებლობა (სსკ 23-ე მუხლი) გულისხმობს დანაშაულის ჩადენას სხვა პირის მეშვეობით, რომელიც არ არის პასუხისმგებელი (მაგ. ფსიქიკური და ასაკობრივი შეურაცხადობის შემთხვევაში). თუ ჩვენ ხ.ი-ს განვიხილავთ როგორც „ციფრულ შეურაცხადს“, მაშინ პირი, რომელიც მას დავალებას აძლევს, არის შუალობითი ამსრულებელი. აღსანიშნავია, რომ შუალობითი ამსრულებლობისას ადამიანი სრულად აკონტროლებს პროცესს, ხოლო ხ.ი-ის შემთხვევაში კი,

„თვითსწავლებადი“ ალგორითმი ხშირად გამოდის კონტროლიდან. შესაბამისად, როდესაც კონტროლი იკარგება, იკარგება „შუალობითი ამსრულებლობის“ სამართლებრივი საფუძველიც (Roxin, 2015). თუკი ხ.ი-ს მივანიჭებთ შეზღუდულ სამართლებრივ სუბიექტობას, იგი შეიძლება ჩაითვალოს უშუალო ამსრულებლად. ამ დროს ადამიანი (დავალების მიმცემი) გადაინაცვლებს თანამონაწილის (წამქეზებლის ან დამხმარის) როლში. ეს რადიკალურად ცვლის ბრალდების სტრატეგიას (Hallevy, 2010).

გაცილებით საინტერესო და რთულია შემთხვევა, როდესაც ხ.ი. მონაწილეობს დანაშაულში ადამიანთან ერთად, როგორც „ინტელექტუალური დამხმარე“. ტრადიციული დამხმარე (სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი) ეხმარება ამსრულებელს საშუალებების მომზადებაში. ავიღოთ ალგორითმი, რომელიც ეხმარება ჰაკერს კიბერშეტევის განხორციელებაში, სისტემური სუსტი წერტილების ავტომატური მოძიებით, ან ურჩევს, როგორ აუაროს გვერდი უსაფრთხოების სისტემას. ადამიანი, როგორც წამქეზებელი პირი, რომელიც სპეციალურად „წვრთნის“ ხ.ი-ს სიძულვილის ენის გამოსაყენებლად ან დევნიაციური ქმედებებისკენ. ან პირიქით, როდესაც ხ.ი. გადააწყვეტინებს ადამიანს დანაშაულის ჩადენას? (მაგ. მანიპულაციური ალგორითმები). ასეთ დროს ხ.ი. გვევლინება წამქეზებლის როლში, რაც წარმოშობს მისი მფლობელის პასუხის-

მგებლობას „არასათანადო ზედამხედველობისთვის“.

მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სუბიექტური კავშირი. ამასთან, თანამონაწილეობა მოითხოვს, რომ დამხმარემ იცოდეს ამსრულებლის განზრახვის შესახებ. აქ მთავარი კითხვაა, არსებობს თუ არა სუბიექტური კავშირი (ერთობლივი განზრახვა) ადამიანსა და მანქანას შორის? თანამონაწილეობის კლასიკური თეორია მოითხოვს ორმხრივ სუბიექტურ კავშირს, რაც ხ.ი-ს შემთხვევაში შეუძლებელია, რადგან მანქანას არ შეუძლია სხვისი განზრახვის გაზიარება, ცოდნა და ნებელობა Hallevy, 2015). შესაბამისად, თუ ადამიანი იყენებს ხ.ი-ს, როგორც ინტელექტუალურ დამხმარეს, სამართლებრივად ეს უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ცალმხრივი თანამონაწილეობა, რაც ჯერ კიდევ დაურეგულირებელია (Smith, K. J. 2022).

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება და მისი სულ უფრო მზარდი ავტონომიურობა, თანამედროვე იურისპრუდენციას ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე აყენებს. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ტრადიციული სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა, რომელიც ისტორიულად ანთროპოცენტრულია, საჭიროებს არსებით ტრანსფორმაციას ხ.ი-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ეფექტიანი რეგულირებისთვის.

ხელოვნური ინტელექტისათვის „ელექტრონული პირის“ სტატუსის შესაძლო მინიჭება, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის მოდელის ანალოგიურად, წარმოადგენს, ერთ-ერთ გზას სისტემის უშუალო „დასჯადობისა“ და კონტროლისთვის. თუ დავუშვებთ ხ.ი-ის სუბიექტად აღიარებას, დღის წესრიგში დგება სანქციის საკითხი. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა ფიზიკურად შეუძლებელია, უნდა გამოვიყენოთ ალტერნატიული სასჯელები, როგორებიცაა: იძულებითი სისტემური მოდიფიკაცია (ალგორითმის იძულებითი შეცვლა, „ტვინის ოპერაცია“); ციფრული იზოლაცია (სისტემის ქსელიდან გათიშვა ან ფუნქციონირების შეზღუდვა) და დეაქტივაცია („სიკვდილით დასჯის“ ციფრული ანალოგი).

მნიშვნელოვანია, პასუხისმგებლობის ვაკუუმის დაძლევა. „შავი ყუთის“ ეფექტი და ალგორითმული გადაწყვეტილებების კომპლექსურობა ართულებს მიზეზობრივი კავშირის დადგენას, რაც ქმნის სამართლებრივ ხვრელს და საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების განხორციელებას. აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განიმარტოს „ავტონომიური სისტემის“ სტატუსი. შემოღებულ იქნეს ობიექტური შერაცხვის სპეციალური ნორმები იმ პირთათვის, ვინც სარგებელს იღებს ხ.ი-სგან. სისხლის სამართლის კოდექსში გაიწეროს პასუხისმგებლობის ფორმები „ალგორითმული გაუფრთხილებლობისთვის“. ასევე საჭიროა,

ბრალის პრინციპის მოდიფიკაციაც. ვინაიდან მანქანას არ გააჩნია ადამიანური ფსიქიკა და თავისუფალი ნება, ტრადიციული *Mens Rea* უნდა ჩანაცვლდეს ობიექტური შერაცხვის, უსაფრთხოების ნორმატიული სტანდარტების ან რისკის წყაროზე კონტროლის პრინციპებით. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნისათვის, აუცილებელია სამართლებრივი ზღვრის გავლება ხ.ი-ს, როგორც დანაშაულის უსულო იარაღსა და როგორც „ინტელექტუალურ პარტნიორს“ (დამხმარეს ან წამქეზებელს) შორის. ხელოვნური ინტელექტის „სუბიექტად“ აღიარების გარეშე, თანამედროვე სისხლის სამართალი ყოველთვის დადგება სამართლიანობის დეფიციტის წინაშე.

საბოლოოდ, კანონმდებლობა უნდა ჩამოყალიბდეს როგორც დინამიკური სისტემა, რომელიც შეძლებს ტექნოლოგიური პროგრესის თანმდევი რისკების ბალანსირებას საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებთან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ არცერთი დანაშაული არ დარჩეს ადეკვატური სამართლებრივი რეაგირების გარეშე, რაც მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განახლებული ხედვით არის შესაძლებელი. თუმცადა ხელოვნური ინტელექტისათვის, ელექტრონული პირის იურიდიული სტატუსის მინიჭება, დამატებით ახალ სამართლებრივ პრობლემებს წარმოშობს სამომავლოდ. ვინაიდან ხ.ი-ისათვის იურიდიული სტატუსის

მინიჭებას მოჰყვება მისთვის უფლებების მინიჭების საკითხის გადაწყვეტა, რაც ცალსახად საფრთხის შემცველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Halleve, G. (2013). When Robots Kill: Artificial Intelligence under Criminal Law. UPNE.
2. Pagallo, U. (2013). The Laws of Robots: Crimes, Contracts, and Torts. Springer Science & Business Media.
3. European Parliament. (2017). Resolution of 16 February 2017 with recommendations to the Commission on Civil Law Rules on Robotics (2015/2103(INL)).
4. Abbott, R. (2020). The Reasonable Robot: Artificial Intelligence and the Law. Cambridge University Press.
5. Vladeck, D. C. (2014). Machines without Principals: Liability Rules and Artificial Intelligence. Washington Law Review, Vol. 89.
6. Heller, K. J. (2016). The Concept of Speculative Criminal Liability Revisited. Oxford University Press.
7. Thyghe, J. (2019). The Liability Gap: Autonomous Systems and the Law. Journal of Ethics and Information Technology.

8. Karnow, C. E. A. (2021). *Future Codes: Essays in Advanced Computer Law*. Artech House.
9. Hilgendorf, E. (2018). *Robotics and Law: Key Legal Issues*. Nomos Publishing.
10. Koops, B. J. (2019). *The Concept of Functionality in Criminal Law*. Oxford University Press.
11. Koppinski, J. (2020). *Algorithmic Intent and Corporate Liability*. *European Journal of Law and Technology*.
12. Hildebrandt, M. (2016). *Smart Technologies and the End(s) of Law*. Edward Elgar Publishing.
13. Hallevy, G. (2015). *Liability for Crimes Involving Artificial Intelligence Systems*. Springer Science & Business Media.
14. Roxin, C. (2015). *Strafrecht Allgemeiner Teil: Band II*. C.H. Beck.
15. Hallevy, G. (2010). *The Criminal Liability of Artificial Intelligence Entities – from Science Fiction to Legal Social Control*. *Akron Intellectual Property Journal*.
16. Smith, K. J. (2022). *A Modern Treatise on Complicity and AI*. Oxford University Press.
17. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 04.03.2026 წლის მდგომარეობით.

Artificial Intelligence as a Potential Criminal, Problematic Aspects of perpetration and Complicity

Muradashvili Vakhtangi - PhD Candidate at the Faculty of Law of Ivane Javakishvili Tbilisi State University, Affiliated Assistant at the Faculty of Law and International Relations of the Georgian Technical University, E-mail: muradashvilivakhtang07@gtu.ge

Abstract

This article is devoted to one of the most difficult and topical issues of modern jurisprudence - the criminal qualification of illegal actions potentially committed or committed in the future by artificial intelligence systems and the identification of the subject of responsibility. As a result of technological progress, artificial intelligence is gaining more autonomy, which creates a vacuum of responsibility when damage is present, although traditional legal dogma cannot find a corresponding culpable subject.

The paper analyzes the compatibility of fundamental principles of criminal law with algorithmic solutions. Special attention is paid to the element of fault and the so-called "black box" effect, which complicates the establishment of a causal connection between the program code and the intended result.

The article discusses various models of delegation of responsibility: artificial intelligence as a weapon of crime, the scope of manufacturer and user liability, and theoretical

perspectives for granting the status of "electronic person".

The aim of the study is to identify the legislative challenges facing modern justice and to offer recommendations for the transformation of criminal policy so that the law can effectively regulate the risks associated with technological progress.

Keywords: *artificial intelligence, criminal liability, subject, guilt, autonomous systems, electronic person, liability vacuum.*

ხელოვნური ინტელექტის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში

*ქიარიმ გუმბათოვი,
ქალაქ თბილისის #96 საჯარო სკოლა, ქალაქ თბილისის #81 საჯარო
სკოლა, მენტორი მასწავლებელი, საჯარო მმართველობის
დოქტორი.*

keringumbatov@gmail.com

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობები აქტიურად ეძებენ ახალ მექანიზმებს, რათა გააუმჯობესონ გადაწყვეტილების მიღების პროცესები და გაზარდონ მომსახურების ეფექტურობა. ხელოვნური ინტელექტის (AI) და მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრაცია მუნიციპალიტეტებში წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რომელიც საშუალებას აძლევს ქალაქებს ოპტიმიზირებული, სწრაფი და გამჭვირვალე გადაწყვეტილებები მიიღონ.

მსოფლიოში წარმატებული „სმარტ-სიტი“ პროექტები აჩვენებენ, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ტრეფიკის მართვაში, ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების კონტროლსა და მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებაში შედეგების მნიშვნელოვან

ზრდას იწვევს. თუმცა, ამ ტექნოლოგიების დანერგვას ახლავს გამოწვევები: მონაცემთა ხარისხი და ხელმისაწვდომობა, ეთიკური და კონფიდენციალურობის საკითხები, ასევე საჭირო ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსები.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობები ჯერ კიდევ გადიან ციფრულ ტრანსფორმაციას, თუმცა არსებობს შესაძლებლობა ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა ანალიზის აქტიური გამოყენებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. სამომავლოდ, ინტეგრირებული პლატფორმების და მონაცემთა სტანდარტიზაციის განვითარება ხელს შეუწყობს ეფექტური მუნიციპალური სერვისების, რესურსების ოპტიმალური მართვისა და მოქალაქეთა კმაყოფილების ზრდას.

ეს მოხსენება მიზნად ისახავს გაანალიზოს ხელოვნური ინტელექტის პერსპექტივები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, საერთაშორისო გამოცდილების შესწავლითა და ქართულ რეალობაზე დაკვირვებით, ხოლო საბოლოო მიზანია მიაწოდოს რეკომენდაციები ხელოვნური ინტელექტის ეფექტური ინტეგრაციისთვის მუნიციპალიტეტებში.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობა, სმარტ-სიტი, მუნიციპალიტეტები, ციფრული ტრანსფორმაცია.

შესავალი

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ხელოვნური ინტელექტის (AI) ინოვაციები მნიშვნელოვნად შეცვლის ადგილობრივი თვითმმართველობის პრაქტიკას და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ადგილობრივი დონე, როგორც მოქალაქეებთან უშუალო ურთიერთობის მქონე ადმინისტრაციული ერთეული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის საჭიროებების დროული და ეფექტური დასაკმაყოფილებლად. მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს ოპტიმიზირებული, სწრაფი და გამჭვირვალე გადაწყვეტილებები მიიღონ, რაც ზრდის სერვისების ეფექტურობას, ნდობასა და მოქალაქეთა ჩართულობას.

საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ „სმარტ-სიტი“ პროექტები ეფექტურად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს და დიდი მონაცემების ანალიზს ქალაქის მართვის მრავალ სფეროში. სინგაპურის მაგალითი აჩვენებს ტრეფიკის ინტელექტუალური მართვის სისტემებს, რომლებიც რეალურ დროში პროგნოზირებენ გადატვირთულობას და აუმჯობესებენ მოძრაობის რეგულაციას. ესტონეთში ადგილობრივი თვითმმართველობები იყენებენ მონაცემებზე დაფუძნებულ მოდელებს ენერგოეფექტურობის, ურბანული

ინფრასტრუქტურის და ელექტრონული სერვისების ოპტიმიზაციისთვის. ტოკიოში ხელოვნური ინტელექტის სისტემა ხელს უწყობს გარემოს მონიტორინგს, ბუნებრივი საფრთხეების პროგნოზირებას და მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდას. მსგავსი საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია გადაწყვეტილების პროცესში არა მხოლოდ ტექნოლოგიური მიღწევაა, არამედ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მდგრადი, მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ხელოვნური ინტელექტის დანერგვას თანახლავს გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. მონაცემთა ხარისხი, ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალურობის დაცვა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური კადრების უზრუნველყოფა წარმოადგენენ ძირითად პრეპოზიციებს, რომელთა გადაწყვეტა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეფექტური AI-გადაწყვეტილების მიღებისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ადმინისტრაციული პროცესების ავტომატიზაცია, პროგნოზირების შესაძლებლობები და მონაცემთა ინტეგრირებული მართვა, რათა მიღებული გადაწყვეტილებები იყოს რაც შეიძლება უფრო საფუძვლიანი, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი.

საქართველოს კონტექსტში, ადგილობრივი თვით-მმართველობები ჯერ კიდევ გადიან ციფრულ ტრანსფორმაციას, თუმცა არსებობს დიდი შესაძლებლობები ხელოვნური ინტელექტის და მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომების ინტეგრაციისთვის. ეს საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს გაანაწილონ რესურსები ეფექტურად და გაზარდონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება ადგილობრივ დონეზე წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ სტრატეგიულ შესაძლებლობას მდგრადი, ეფექტური და ინოვაციური მუნიციპალური მართვისთვის.

ამ მოხსენებაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საერთაშორისო გამოცდილება, მონაცემთა ანალიზის როლი, გამოწვევები ადგილობრივ დონეზე, ტექნოლოგიური და რეგულაციური გარემო, ასევე რეკომენდაციები ხელოვნური ინტელექტის ეფექტური ინტეგრაციისათვის. საბოლოო მიზანია წარმოაჩინოს, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება შეასრულოს მაღალპროფესიული, მონაცემებზე დაფუძნებული და მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობის ინსტრუმენტის როლი, რაც ხელს შეუწყობს თბილისის, სხვა ქალაქებისა და რეგიონების განვითარებას, სამომავლოდ კი სახელმწიფო მართვის ხარისხის გაძლიერებას.

ძირითადი ტექსტი

ხელოვნური ინტელექტი (Artificial Intelligence, AI) წარმოადგენს კომპიუტერულ სისტემას, რომელიც ახერხებს ადამიანის კოგნიტიური პროცესების მიბადვას, მათ შორის დასკვნების გაკეთებას, პროგნოზირებას და ავტომატურ გადაწყვეტილებების მიღებას. ადგილობრივ თვითმმართველობაში ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება როგორც მონაცემთა ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი, რაც საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს:

- ოპტიმიზაცია მოახდინონ რესურსების განაწილებაში;
- სწრაფად რეაგირება მოახდინონ საგანგებო სიტუაციებზე;
- გაზარდონ მომსახურების ეფექტურობა და ხარისხი;
- გაზარდონ მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების პროცესში.

მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები მიიღება არა მხოლოდ გამოცდილებაზე ან ინტუიციასზე, არამედ რეალურ მონაცემთა ანალიზზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შედეგების სიზუსტეს და პროგნოზირებადობას.

მსოფლიოს წამყვან ქალაქებში წარმატებით იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს ადგილობრივი მართვის პრო-

ცესში.

- **სინგაპური:** ტრეფიკის ინტელექტუალური მართვის სისტემები რეალურ დროში პროგნოზირებს მოძრაობას, ხსნის საცობებს და აუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეფექტურობას.
- **ესტონეთი:** მონაცემებზე დაფუძნებული მოდელები გამოიყენება ენერგოეფექტურობის, ურბანული ინფრასტრუქტურის და ელექტრონული სერვისების ოპტიმიზაციისთვის.
- **ტოკიო:** გარემოს მონიტორინგი, სტიქიური უბედურებების პროგნოზირება და საზოგადოებრივი უსაფრთხოების კონტროლი განხორციელდება ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიზის საშუალებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციაა, არამედ ხელს უწყობს **გამჭვირვალე და პროგნოზირებად მმართველობას**, ზრდის მოქალაქეთა ნდობასა და ჩართულობას.

ხელოვნური ინტელექტის ეფექტური გამოყენებისას მუნიციპალიტეტებში არსებობს რამდენიმე ძირითადი გამოწვევა:

1. **მონაცემთა ხარისხი და ხელმისაწვდომობა:** ხელოვნური ინტელექტის სისტემები ზუსტ პროგნოზებსა და ანალიზს საჭიროებენ მაღალი

ხარისხის, სტანდარტიზებულ და სრულყოფილ მონაცემებზე.

2. **კონფიდენციალურობა და ეთიკა:** მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვა წარმოადგენს ცენტრალურ საკითხს, რომელიც უნდა გაკონტროლდეს რეგულაციებით.
3. **ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა:** საჭიროებს შესაბამის სერვერებს, მონაცემთა ბაზებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და ქსელურ მხარდაჭერას.
4. **კადრების კვალიფიკაცია:** IT სპეციალისტებისა და მონაცემთა ანალიტიკოსების აღრიცხვა და მუდმივი ტრენინგი აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის ეფექტური გამოყენებისთვის.

ამ გამოწვევების გადაჭრა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტის წარმატებას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

დღევანდელ სამყაროში, სადაც მონაცემთა რაოდენობა ყოველდღიურად მზარდია, ადგილობრივი თვითმმართველობები მუდმივად ეძებენ გზებს, რათა მიიღონ უფრო ეფექტური, სწრაფი და ინფორმირებული გადაწყვეტილებები. სწორედ აქ იბადება ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების საჭიროება. ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ტექნოლოგიურ ხელსაწყოს, რომელიც საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს ოპტიმიზაცია გაუწიონ ადმინისტრაციულ პროცესებს,

გაზარდონ საჯარო სერვისების ხარისხი და მიიღონ გადაწყვეტილებები მონაცემებზე დაფუძნებით.

ხელოვნური ინტელექტის როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკმაოდ მრავალფეროვანია. პირველ რიგში, ხელოვნური ინტელექტი უზრუნველყოფს მონაცემთა სწრაფ და ზუსტ ანალიზს. მუნიციპალიტეტები ყოველდღიურად აგროვებენ უამრავ ინფორმაციას ურბანული ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია ამ მონაცემების ეფექტური დამუშავება, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას ეხმარება პრობლემების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენაში და სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრაში.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება არის პროგნოზირება და დაგეგმვა. ხელოვნური ინტელექტს შეუძლია განსაზღვროს სხვადასხვა განვითარების სცენარები, მაგალითად, ურბანული დაგეგმვის პროცესში დასახოს საცხოვრებელი ზონების განვითარების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, ტრანსპორტის ქსელის მოდერნიზაციის საჭიროებები ან ენერგორესურსების დაზოგვის გზები. მონაცემებზე დაფუძნებული პროგნოზირება მნიშვნელოვნად ზრდის გადაწყვეტილებების ეფექტურობას და ხელს უწყობს შესაძლო რისკების შემცირებას. ხელოვნური ინტელექტი ასევე ქმნის შესაძლებლობას, რომ გადაწყვეტილებები იყოს უფრო მიუკერძოებელი

და ობიექტური. ალგორითმები უზრუნველყოფენ ანალიზს ემოციურ და სუბიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობით ნაკლებად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გადაწყვეტილების პოლიტიზების ან ადამიანის შეცდომის რისკს. ამგვარად, ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს მხარდამჭერ ინსტრუმენტს გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ინტერესების უფრო თანაბარ გათვალისწინებას.

მიღების სფეროები ადგილობრივ თვითმმართველობაში საკმაოდ მრავალფეროვანია. ურბანული დაგეგმვის პროცესში ხელოვნური ინტელექტს შეუძლია გაანალიზოს სატრანსპორტო ნაკადები, საცხოვრებელი ზონების გადატვირთვა, მწვანე სივრცეების საჭიროება და ინფრასტრუქტურული პრობლემები. საჯარო სერვისების მართვის მხრივ, ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს ნაგვის შეგროვებისა და გადამუშავების, წყალმომარაგებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეფექტურობის ზრდას. ფინანსურ მართვაში ხელოვნურმა ინტელექტმა მუნიციპალური ბიუჯეტის ოპტიმიზაცია და რესურსების ეფექტური გადანაწილება შეიძლება უზრუნველყოს. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართულებით კი ალგორითმები ეხმარებიან კრიმინალური საფრთხეების ან საგანგებო სიტუაციების ადრეულ გამოვლენაში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსახლეობის უსაფრთხოებას.

სარგებელი და გამოწვევები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობები მრავალფეროვანია. სარგებლის მხრივ, გადაწყვეტილებების მიღების სიჩქარე და ხარისხი იზრდება, ხარჯები ოპტიმიზდება, მოსახლეობის ჩართულობა და ინფორმირებულობა უმჯობესდება, ხოლო სტრატეგიული დაგეგმვა ხდება უფრო მონაცემებზე დაფუძნებული. გამოწვევები კი მოიცავს მონაცემთა კონფიდენციალურობას, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის საჭიროებას, პროფესიული კადრების აღჭურვილობას, ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტილებების სიზუსტისა და მიუკერძოებლობის შემოწმების აუცილებლობას, ასევე სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩოების საჭიროებას.

რეალური მაგალითები ადასტურებს ხელოვნური ინტელექტის ეფექტურობას ადგილობრივ თვითმმართველობაში. სინგაპური იყენებს ხელოვნურ ინტელექტს ქალაქის დაგეგმვასა და ტრანსპორტის მართვაში. ტოკიო მას იყენებს გარემოს მონიტორინგსა და ენერჯის დაზოგვის პროცესებში. ევროპის მრავალ ქალაქში ხელოვნური ინტელექტი ეხმარება საზოგადოებას ნავის შეგროვებაში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაციისა და უსაფრთხოების ზრდის პროცესში.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მისი გამოყენება საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს მიიღონ სწრაფი, ზუსტი და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საჯარო სერვისების ეფექტურობას და მოსახლეობის ჩართულობას. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესაძლებელია ურბანული დაგეგმვის ოპტიმიზაცია, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მართვის გაუმჯობესება, ფინანსური რესურსების ეფექტური განაწილება და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ქმნის გამოწვევებს, როგორცაა მონაცემთა კონფიდენციალურობა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის აუცილებლობა, პროფესიული კადრების მომზადება და ეთიკური-სამართლებრივი ჩარჩოების დაცვა. ამასთან, სწორი მიდგომით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შეიძლება გახდეს ინოვაციური, ეფექტური და გამჭვირვალე თვითმმართველობის გარანტი.

მომავლის პერსპექტივა აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ადგილობრივ დონეზე არ მხოლოდ გადაწყვეტილებების ხარისხს გაზრდის, არამედ ხელს შეუწყობს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების უფრო მდგრად, ინკლუზიურ და მოსახლეობაზე ორიენტირებულ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კეცბაია, ნ., & კოპიანიძე, ნ. (2025). ხელოვნური ინტელექტი: განვითარების, გამოწვევების და პერსპექტივების ანალიზი საქართველოში. ბაკუ საერთაშორისო ჟურნალი, 10(1), 45-59.
<https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/1108>
2. ნაპეტცარიძე, ვ. (2023). ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინ ტექნოლოგიები და ციფრული სახელმწიფო სერვისები საქართველოში: საქართველოს ელექტრონული მთავრობის ზოგადი მიმოხილვა. *PSAGE Journal*, 2(4), 122-136.
<https://test.psage.tsu.ge/index.php/Easternstudies/article/view/248>
3. დიგიტალური ჰუმანიტარული აკადემია. (2023). ხელოვნური ინტელექტი და ქართული ენა ციფრულ ეპოქაში. დიგიტალური ჰუმანიტარული მიმოხილვა, 4(2), 88-102.
<https://adh.ge/artificial-intelligence-and-the-georgian-language-in-the-digital-era>
4. IDFI. (2022). ხელოვნური ინტელექტი: საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.
<https://idfi.ge/en/artificial%20intelligence%20international%20tendencies%20and%20georgia>

The Role of Artificial Intelligence in the Decision-Making Process of Local Self-Government

*Kiarim Gumbatov,
Tbilisi City Public School #96, Tbilisi City Public School #81, Mentor
Teacher, Doctor of Public Administration. kerimgumbatov@gmail.com*

Abstract

With the advancement of digital technologies, local governments are actively seeking new mechanisms to improve decision-making processes and enhance service efficiency. The integration of artificial intelligence (AI) and data-driven approaches into municipalities represents a significant opportunity, enabling cities to make optimized, faster, and more transparent decisions.

Successful “smart city” projects worldwide demonstrate that the use of AI in traffic management, optimization of energy-efficient infrastructure, public safety monitoring, and enhancement of citizen engagement leads to substantial improvements in outcomes. However, the implementation of these technologies is accompanied by challenges, including data quality and availability, ethical and privacy concerns, as well as the need for appropriate technological and human resources.

Local self-governments in Georgia are still undergoing digital transformation; nevertheless, there is considerable

potential for the active use of AI and data analytics in decision-making processes. In the future, the development of integrated platforms and data standardization will contribute to more efficient municipal services, optimal resource management, and increased citizen satisfaction.

This paper aims to analyze the prospects of artificial intelligence at the local government level by examining international experience and observing the Georgian context. The ultimate goal is to provide recommendations for the effective integration of AI in municipalities.

Keywords: artificial intelligence, data-driven solutions, local government, smart city, municipalities, digital transformation.

ჟურნალში წარმოდგენილი მასალები იბეჭდება ავტორისეული
რედაქციით

გადაეცა წარმოებას 24.04.2026. ხელმოწერილია დასაბეჭდად
27.04.2026. ქალაქის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent